8813

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
22 სექტემბერი
1940 წ.
№ 221 (5922)
ფასი 10 კაპ.

თამბაქოს მოსავალი ავიღოთ დროზე და უდანაკარგოდ

თამბაქოს მოსავლის აღების მხრივ მდგომარეობა დამაფიქრებელია. 15 სექტემბრისათვის შეტეხილი იყო 80.681.062 ზონარმეტრი თამბაქო წლიური გეგმის 58,5 პროცენტი. ჩამორჩენილია მეთამბაქოობის ყველა რაიონი, გარდა აჭარის ასს რესპუბლიკისა. შარშან კი ამავე რიცხვისათვის საქართველოში შეტეხილი იყო 105.759.190 ზონარმეტრი თამბაქო, გეგმის 89,3 პროცენტი. უკანასკნელი ხუთდღიურების ანალიზი შეტეხის შემცირების სურათს იძლევა. მაგალითად, საქართველოს კოლმეურნეობებში აგვისტოს უკანასკნელ ხუთდღიურში შეტეხილი იყო 8.582.156 ზონარმეტრი, სექტემბრის პირველ ხუთდღიურში — 7.610.880, მეორეში — 7.233.934, მესამეში — 6.919.460.

ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია ის, რომ მეთამბაქოობის მთელმა რიგმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა, სამიწათმოქმედო ორგანოებმა და კოლმეურნეობებმა ვერ გამოიტანეს ყველა საჭირო დასკვნა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გაფრთხილებიდან. „მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ" საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებაში ნათქვამია: „დაწესდეს, რომ თამბაქოს აღება უნდა სწარმოებდეს თამბაქოს სრული ტექნიკური სიმწიფის დროს ზუსტად იარუსების მიხედვით, დაშვებულ არ უნდა იქნას თამბაქოს გადამწიფება და აგრეთვე უმწიფარი ფოთლების მოკრეფა".

ბორჩალოს რაიონის ლენინავანდის სახელობის კოლმეურნეობაში ორი ურემი შეტეხილი თამბაქო ორი დღე მინდვრად ეყარა გადაუზიდავი, რის გამო ჩახურდა და ფოთლები დაზიანდა. ამავე რაიონის აშაგასერალის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში ადგილი აქვს თამბაქოს დანაკარგებს.

სიღნაღის რაიონში ყველა როდი არის გამსჭვალული იმ გრძნობით, რომ თამბაქოს მოსავალი უდანაკარგოდ აიღონ. ამავე რაიონის სოფ. ტიბაანის, ვაქირის, დაბა წნორის სასოფლო საბჭოებში შემავალმა კოლმეურნეობებმა დროზე აუღებლობით თამბაქო 5 ჰექტარზე გადასწვეს. პირველი შეტეხის თამბაქო ნაწილობრივ დაიწვა. ადგილი ჰქონდა აგრეთვე ფოთლების გადამწიფებას ღეროზე. სოფ. ვაქირის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში ყველა კოლმეურნე როდი იღებს მონაწილეობას საკოლმეურნეო შრომაში. ამის გამო თამბაქოს შეტეხაში კოლმეურნეობა ჩამორჩენილია. ასეთ ფაქტებს ვხვდებით ანაგის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „შრომასა" და „ნაპერწკალში". დაბა წნორის კეცხოველის სახელობის და ძველი ანაგის კოლმეურნეობა „მისწრაფებაში" არეულია შეტეხის აღრიცხვა. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ამ სამუშაოს მესამეხარისხოვან საქმედ სთვლიან.

ყვარლის რაიონში ყველაფერი არ არის გაკეთებული კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ახალსოფლის მოლოტოვის და ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში, სოფ. გავაზის კოლმეურნეობა „განთიადში" ზარმაცები და წამგლეჯები მუშახელის ხელოვნურ ნაკლებობას ქმნიან. თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა ზემოხსენებული კოლმეურნეობები თამბაქოს აღების გეგმას ვერ შეასრულებენ. თამბაქოს დროზე აუღებლობის და შრომის მოუწესრიგებლობის ფაქტებს ადგილი აქვს გურჯაანის რაიონშიაც. სოფ. ძველი გურჯაანის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაში და ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში" ძლიერ ნელი ტემპით სწარმოებს თამბაქოს შეტეხა. ეს ხდება იმიტომ, რომ ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი კოლმეურნეები, რომელნიც ყოველდღიურად არ გადიან სამუშაოზე და ამჯობინებენ საკარმიდამო ნაკვეთზე მუშაობას. თამბაქოს შეტეხვა - ანემსვის მხრივ ზემოხსენებულ რაიონებში მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელია.

სამარცხვინოდ ჩამორჩა აფხაზეთის ასს რესპუბლიკა, რომელმაც უნდა აიღოს 78.000.000 ზონარმეტრი თამბაქო, ანუ მთელი საქართველოს რესპუბლიკის გეგმის ნახევარზე მეტი. ამ სერიოზული დავალების განაღდება საფრთხის წინაშეა. 15 სექტემბრისათვის შეტეხის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 43 პროცენტით. უნდა ითქვას, რომ აფხაზეთში თამბაქოს კულტურის შეუფასებლობას იჩენენ. იქ წლიდან წლამდე ვერ ასრულებენ სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების გეგმებს. შარშან აფხაზეთმა სახელმწიფოს 1000 ტონა თამბაქო დააკლო. აფხაზეთში წელსაც გრძელდება შარშანდელი შეცდომები. მთელ რიგ კოლმეურნეობებში თამბაქო გადაიწვა, დაბალია შრომის დისციპლინა. გუდაუთის რაიონის სოფ. ათხარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში თამბაქო გადამწიფდა. ეს იმიტომ, რომ დაახლოებით 100 კაცი დროგამოშვებით გადის სამუშაოზე. გაგრის რაიონის ალახაძის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში არ იცავენ თამბაქოს შეტეხის ვადებს, მოუწესრიგებელია შრომა. ასეთ ფაქტებს ვხვდებით ოჩამჩირის რაიონის ტყვარჩელის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის, გალის რაიონის აჩიგვარის სასოფლო საბჭოს მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობებში.

ჯერ კიდევ არის დრო იმისათვის, რომ მთლიანად შესრულდეს თამბაქოს შეტეხის გეგმა. ამისათვის საჭიროა თამბაქოს შეტეხა, ანემსვა, გაშრობა და დამუშავება ჩატარდეს დროზე და თანმიმდევრულად, რომ მივიღოთ მაღალხარისხოვანი თამბაქო.

თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა მეთამბაქოობის რაიონების ერთერთი მთავარი ამოცანაა. ეს მოითხოვს საშრობი ფარდულების სრულ წესრიგში მოყვანას. წითელწყაროსა და ყვარლის რაიონებში ეს სამუშაოები ძლიერ გააჭიანურეს.

მეთამბაქოობაში სახელმწიფო გეგმების შესრულების ერთერთი მთავარი პირობაა თამბაქოს მეორე მოსავლის და ფილიჩების აღება. მეთამბაქოობის რაიონების ხელმძღვანელმა მუშაკებმა მტკიცე კონტროლი უნდა გაუწიონ ამ სამუშაოს შესრულებას. ამ ღონისძიების ურყევად გატარებასთან ერთად საჭიროა ყოველდღიური ზრუნვა კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ის კოლმეურნე, რომელიც მოსავლის აღების გაცხარებულ დღეებში თავს არიდებს საკოლმეურნეო შრომას, დანაშაულს სჩადის როგორც კოლმეურნეობის, ისე სახელმწიფოს წინაშე. კოლმეურნეობამ ზარმაცები, წამგლეჯები, მუქთახორები უნდა დასაჯოს ისე, როგორც ამას მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება.

უნდა ვიცოდეთ, რომ თამბაქოს შეტეხის ნელი ტემპები ერთის მხრივ იწვევს დანაკარგებს, ხოლო მეორე მხრივ, ხარისხის გაუარესებას. ეს კი ჩაშლის საფრთხის წინაშე აყენებს თამბაქოს ჩაბარების სახელმწიფო გეგმის შესრულებას.

დასკვნა ერთია: მეთამბაქოობის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა უახლოეს დღეებში უნდა გამოასწორონ ჩამორჩენა, მოსპონ დანაკარგები და უზრუნველჰყონ სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების გეგმების მთლიანად შესრულება ასორტიმენტის მტკიცედ დაცვით. ის, ვინც ურიგდება დანაკარგებს, არ იღებს ზომებს აგროწესების დაცვისათვის, მკაცრი სასჯელის ღირსია.

ქალაქ მოსკოვში მდინარე მოსკოვზე ხიდების მშენებლობის მუშების, ინჟინრებისა და ხელმძღვანელ მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მდინარე მოსკოვის ხიდების მშენებლობის დარგში პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა წარმატებითი შესრულებისა და ბოლშევიკური ტემპებისა და მუშაობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ქალაქ მოსკოვში მდინარე მოსკოვზე ხიდების მშენებლობის 79 მუშა, ინჟინერი და ხელმძღვანელი მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 4 კაცი — მდინარე მოსკოვის ხიდის ბრიგადირ-მეარმატურე ამხ. დ. ს. ბელოვი, ტრესტ „გორმოსტის" ყოფილი მმართველი ამხ. მ. ა. ტერპიგორევი, კამენი ხიდის მებეტონე-ბრიგადირი ამხ. კ. ვ. უსანოვი და მოლოტოვის სახელობის ქარხნის სტახანოველი მემოქლონე ამხ. მ. ტ. ჩმონი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 10 კაცი, **„საპატიო ნიშნის" ორდენით**—16 კაცი, **„შრომითი წარჩინების" მედლით** — 49 კაცი. (საქდესი).

24 სექტემბერს, საღამოს სრულ 9 საათზე ფილარმონიის დარბაზში (რუსთაველის პრ. № 23) შესდგება პროფ. **ათაბეკოვის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„ხმელთაშუაზღვის პრობლემა"**.

ლექციაზე შესასვლელი ბილეთის ფასი 1 მან.

ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროში დღის 12-დან 6 საათამდე და საღამოს 7-დან 9 საათამდე.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

ესტონეთში დამთავრდა პროფკავშირული ორგანოების არჩევნები

ტალინი, 20 სექტემბერი (საქდესი). პრესის წარმომადგენლებთან საუბარში საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტთა არჩევნების მიმდინარეობის შესახებ ესტონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. არბონშა განაცხადა:

— პროფკავშირული ორგანოების არჩევნები დიდი აქტივობით ჩატარდა ყველა საწარმოში, ყველა დაწესებულებაში. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო პროფკავშირის წევრთა 90-ზე მეტმა პროცენტმა. წამოყენებული კანდიდატურები ყოველმხრივი განხილვის შემდეგ ყველგან არჩეულ იქნენ ხმის აბსოლუტური უმრავლესობით. ყველაზე ორგანიზებულად და აქტიურად ჩატარდა არჩევნები ისეთ დიდ საწარმოებში, როგორიც არის „კრული", „ლიუტერი" და სხვ.

დაიწყო კეხვის არხის გაყვანა

სტალინირი, 19 სექტემბერი (საქდესი). დაიწყო კეხვის სარწყავი არხის გაყვანა. არხის სიგრძე 20 კილომეტრი იქნება. ახალი არხი, რომელშიც დიდი ლიახვის წყალს მიუშვებენ, მორწყავს სამხრეთ-ოსეთის სტალინირისა და ზნაურის რაიონების, აგრეთვე მომიჯნავე გორის რაიონის კოლმეურნეობათა 4600 ჰექტარზე მეტ მიწას. არხის წყლის გამოყენება ხელს შეუწყობს მეურნეობის ისეთ ძვირფას დარგთა განვითარებას, როგორიც არის მევენახეობა და მებაღეობა.

არხი გაჰყავთ სწრაფი ტემპით სტალინის სახელობის დიდი ფერგანის არხის სახელგანთქმულ მშენებელთა მეთოდით. მშენებლობაზე ყოველდღიურად გამოდის სტალინირისა და ზნაურის რაიონის 3.000-მდე კოლმეურნე. კოლმეურნენი, აღფრთოვანებულნი იმის სურვილით, რომ რაც შეიძლება მალე ამუშავდეს ახალი არხი, მაღალი შრომის ნაყოფიერების ნიმუშებს იძლევიან.

არხის მშენებლობაზე მიწის სამუშაოს მოცულობა 156 ათას კუბურ მეტრს უდრის. გადაწყდა, რომ არხის გათხრა დამთავრდეს 20 დღეში. შემდეგ გაკეთდება 5 ბეტონისა და 10 ხის სამაგრი.

კეხვის არხის გაყვანა 1.700.000 მანეთად დაჯდება.

პარტიის სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტმა პასუხისმგებელი მუშაკები მიამაგრა მშენებლობას.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ემზადება მეორე ზამთრისათვის

მოსკოვი, 21 სექტემბერი (**ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.**). მოსკოვს უკვე შემოდგომის იერი დაედო. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე საცდელი ნაკვეთებიდან უკვე აიღეს მარცვლეული კულტურების მოსავალი. ბოსტნეულის ზონაში ყვითლად მოსჩანს მწიფე გოგრები. მიჩურინისეულ ბაღს შემოდგომის სიყვითლე შეეპარა. დღეები ჯერ კიდევ მზიანი, თბილია, მაგრამ დილის ყინვები ყოველდღეა მოსალოდნელი და სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ უკვე დაიწყო მზადება თავისი მეორე ზამთრისათვის. საქართველოს პავილიონთან ხეხილის ბაღის თავზე უკვე გაკეთებულია კარკასი გადახურვისათვის. ჩაის გორაკზე მალე მოწყობილი იქნება სათბური. ორანჟერიაში, სადაც ოქროსფერად მწიფდება მანდარინი, სწარმოებს გასათბობი მილების შემოწმება, ჩარჩოების შეკეთება. საქვაბე განყოფილებაში ეზიდებიან ნახშირს.

გუშინ პავილიონი ინახულა 85 ექსკურსიამ, მათ შორის ბელოსტოკისა და დროგობიჩის ოლქების ექსკურსიებმა. დღეს ერთი საათის განმავლობაში პავილიონს ათვალიერებდა ლიტვის სს რესპუბლიკის პირველი ექსკურსია. ეს იყო ვილნოს ოლქის მუშებისა და გლეხების ჯგუფი. მნახველთა წიგნში, რომელიც უკვე მეოთხეა, ამ ექსკურსიების მონაწილეებმა დასტოვეს თავიანთი აღტაცებული ჩანაწერები.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი საქართველოდან გადაღებულ იქნებიან კინოაპსკაზე

კინოქრონიკის ცენტრალური სტუდია (მოსკოვი) დიდს სრულმეტრაჟიან ფილმს ამზადებს სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის შესახებ. სურათში ფართოდ იქნება ნაჩვენები საქართველოს პავილიონი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკები — გამოფენის მონაწილენი. ფილმის გადასაღებად თბილისს ჩამოვიდა კინოქრონიკის ორი კინოოპერატორი ამხ. ლივშიცი და არონსი. მათ უკვე გადაიღეს შაქრის ჭარხლის ამოღების რეკორდსმენი სოფიო ქეთიშვილი (კასპი). კინოოპერატორები გაემგზავრნენ ცხაკაიას რაიონში, სადაც გადაიღებენ გამოფენის მონაწილეთ — სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს ამხ. მხეიძეს (ევკალიპტის სანერგის გამგე) და ჭანტურიას (მეცხენარე).

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირში" გადაიღებენ ქიონია სარსანიას, რომელმაც სრულიად-საკავშირო რეკორდი დაამყარა ჩაის ფოთლის კრეფაში.

გადაღებულ იქნებიან აგრეთვე მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკები, რესპუბლიკის რაიონების სუბტროპიკული პლანტაციების, საბჭოთა კოლხიდის, ბათუმის ბოტანიკური ბაღის ხედები. (საქდესი).

რადიოზონდი სტრატოსფეროში

საერთაშორისო აეროლოგიური დღეებისათვის

ატმოსფეროს ზედაფენების ყოველმხრივი შესწავლის მიზნით, საერთაშორისო აეროლოგიური კომისიის დადგენილებით, 1934 წლიდან 1947 წლამდე დაწესებულია საერთაშორისო აეროლოგიური დღეები, კვირები და თვეები, რომლებიც მთელს მსოფლიოში ტარდება.

1940 წელს ასეთი დღეები იყო: 15-20 იანვარი, 20-25 მაისი და 17-19 სექტემბერი. ამ დღეებში, გარდა ჩვეულებრივი დაკვირვებისა, ყველა ადგილებში ტარდებოდა დამატებითი დაკვირვებანი.

თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის აეროლოგიური განყოფილება ერთის ნაცვლად სამ დაკვირვებას ატარებდა ყოველდღიურად და სისტემატურად უშვებდა პროფ. პ. ა. მოლჩანოვის რადიოზონდებს. 9 რადიოზონდიდან ყველაზე მეტ სიმაღლეს—18 კილომეტრს — მიაღწია რადიოზონდმა, რომელიც აშვებულ იქნა 17 სექტემბერს, 21 საათსა და 54 წუთზე. სტრატოსფეროს დასაწყისი აღინიშნა 13½ კილომეტრის სიმაღლეზე. 18 კილომეტრის სიმაღლეზე ტემპერატურა იყო მინუს 56,1 გრადუსი. თბილისში, მიწის ზედაპირზე ამ დროს ტემპერატურა იყო პლუს 19 გრადუსი.

დაკვირვებების გზით მიღებული მონაცემები გადაეგზავნა მოსკოვის ამინდის ცენტრალურ ინსტიტუტს.

თბილისის ობსერვატორიის აეროლოგიურ განყოფილებას ყველა სახის დაკვირვების დარგში ერთერთი პირველი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირში, ხოლო ვერტიკალური ზონდირების მხრივ—პირველი ადგილი. (საქდესი).

სსრ კავშირის XII საჭადრაკო ჩემპიონატი

მეთორმეტე ტური

მოსკოვი, 20 სექტემბერი (საქდესი). ყველაზე ადრე სმისლოვ-რაგოზინის პარტია დამთავრდა. გამარჯვება მოიპოვა ახალგაზრდა მოსკოველმა მაესტრომ სმისლოვმა. მოსკოვის ჩემპიონმა ლილიენტალმა მოუგო გროსმაისტერ კოტოვს. ყაიმით დამთავრდა ჯერსტენფელდ-კონსტანტინოპოლსკისა და ლივენფიშ-სტოლბერგის პარტიები.

საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ორი გროსმაისტერის — ბოტვინიკისა და კერესის პარტიამ. კონსერვატორიის დიდი დარბაზი გაჭედილი იყო. ამდენი ხალხი ტურნირს არ ახსოვს. ყველა მოუთმენლად ელოდა ამ ბრძოლის შედეგს. მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ დაახლოებით თანაბარს, მაგრამ მეტად რთულ პოზიციაში.

ტურნირის ლიდერმა ბონდარევსკიმ წარმატებით მოუგო ბელორუსიის ჩემპიონ ვერესოვს.

გადადებულია ლისიცინ-მიკენასის, რუდაკოვსკი-მაკოგონოვის, ბოლესლავსკი-პანოვისა და დუბინინ-პეტროვის პარტიები.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება სამუშაოს გაცდენისათვის შრომის გამასწორებელ მუშაობამისჯილ პირთა განუწყვეტელი მუშაობის სტაჟის გამოთვლის წესის შესახებ და დროებითი შრომისუუნარობის გამო მათთვის დახმარების უფლების ჩამორთმევის შესახებ. ის პირნი, რომელთაც სამუშაოს გაცდენისათვის შრომის გამასწორებელი მუშაობა მიესაჯათ, ამათუიმ საწარმოში თუ დაწესებულებაში თავისი მუშაობის განუწყვეტელ სტაჟს ჰკარგავენ და განაჩენის გამოტანის დღიდან 6 თვის განმავლობაში ჩამოერთმევათ დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების მიღების უფლება. (საქდესი).

საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ა. სულაბერიძის შეხვედრა მოსწავლეებთან

21 სექტემბერს თბილისის მე-55 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა შეხვედრა მოუწყვეს საბჭოთა კავშირის გმირს სახელოვან ტანკისტს უმცროს მეთაურს ამხ. ა. სულაბერიძეს.

მწკრივად დაწყობილი მოსწავლეები მოუთმენლად მოელოდნენ გმირის მოსვლას. მისი გამოჩენისას იგრიალა ტაშმა, მოსწავლეები მხურვალე ოვაციებითა და შეძახილებით შეეგებნენ საპატიო სტუმარს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ამხ. გ. კუტუბიძემ. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: მე-10 კლასის მოსწავლე დარეჯან წერეთლი, მე-9 კლასის მოსწავლე მ. ბოტოშვილი, სკოლის მასწავლებელი გ. ათანელიშვილი, ლექსები წარმოსთქვეს მოსწავლე მშვენიერაძემ, მოლოდინმა, ბოტოშვილმა და სხვ.

სკოლის პიონერების სახელით საბჭოთა კავშირის გმირს მიესალმა პიონერი კოკაია, რომელმაც პიონერული რაზმის სახელით თხოვნით მიმართა გმირს რათა სკოლის პიონერულმა რაზმმა ატაროს საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ა. სულაბერიძის სახელი. ამხ. ა. სულაბერიძემ პიონერებს თანხმობა განუცხადა. სკოლის პიონერთა რაზმი საბჭოთა კავშირის გმირს ირჩევს სკოლის საპატიო პიონერად და მოსწავლე პიონერი კოკაია გმირს ყელზე ახვევს პიონერულ ყელსახვევს. სკოლის მოსწავლეები და პიონერები ამ მომენტს დიდი აღტაცებით, ოვაციებით და ვაშას ძახილით შეხვდნენ.

სიტყვით გამოვიდა ამხ. ა. სულაბერიძე, რომელმაც მოსწავლეებს უამბო წითელი არმიის გმირული ბრძოლების ცალკეულ ეპიზოდებზე და მოუწოდა მათ ისწავლონ „ფრიადზე", რადგან მოსწავლეთა გმირობა, როგორც ამხანაგმა ბერიამ მიგვითითა—ეს „ფრიადზე" სწავლაა.

დასასრულს პატარა გოგონებისაგან შემდგარმა გუნდმა შეასრულა სიმღერები. კარგი ნომრით გამოვიდა სკოლის მეჩონგურეთა ტრიო მე-9 კლასის მოსწავლის ანთელაძის ხელმძღვანელობით.

სკოლის მოსწავლეებმა გმირს მიართვეს ყვავილები.

გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა „საქნავთის" ბურღვის კანტორაზე

(წითელწყარო, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის ნავთის მრეწველობაში მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ცენტრალურმა შემფასებელმა კომისიამ ტრესტ „საქნავთის" ბურღვის კანტორის კოლექტივს მეორე კვარტალის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახკომატისა და კავკასიის ნავთის სარეწაოთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიანიჭა.

ამასთან დაკავშირებით 17 სექტემბერს წითელწყაროში ჩატარდა მიტინგი, რომელსაც ესწრებოდნენ „საქნავთის" მირზაანის, პატარა-შირაქის, სუფსის ნავთის სარეწაოების სტახანოველები, ტრესტ „საქნავთის" და წითელწყაროს რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები. მიტინგი, რომელსაც 500-ზე მეტი კაცი ესწრებოდა, გახსნა ბურღვის კანტორის უფროსმა ამხ. ფ. შაპოშნიკოვმა. მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა „საქნავთის" ტრესტის მმართველმა ამხ. ა. მგელაძემ, რომელმაც ბურღვის კანტორის მუშაკებს მიულოცა წითელი დროშის მიღება. ამხ. მგელაძემ ტაშისა და ვაშას ძახილში წითელი დროშა გადასცა ბურღვის კანტორის დირექტორს ამხ. ფ. შაპოშნიკოვს. მიიღო რა დროშა, ამხ. შაპოშნიკოვმა განაცხადა: „ჩვენ, ბურღვის კანტორის მუშაკთა მთლიანი კოლექტივი, ბოლომდე შევინარჩუნებთ ამ დროშას და პირობას ვიძლევით 20 ოქტომბრისათვის შევასრულოთ ბურღვის წლიური გეგმა".

შემდეგ ამხ. ა. მგელაძემ სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ფრიადოსნობის ნიშნები და ქების ფურცლები ჩააბარა სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. სედინის 27 აგვისტოს ბრძანებით დაჯილდოვებულ „საქნავთის" ბურღვის კანტორის მუშაკებს.

სიტყვით გამოსულმა დაჯილდოვებულმა ამხანაგებმა: ბურღვის კანტორის მთავარმა ინჟინერმა ნ. აბესაძემ, გეოლოგმა ბ. მურღულიამ და სხვ. დაიგალეს 20 ოქტომბრისათვის შეასრულონ ბურღვის წლიური გეგმა და წლის ბოლომდე გეგმის ზევით ქვეყანას მისცენ 15 ახალი ჭაბურღილი.

სუფსის ნავთის სარეწაოების პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ჩხეტიანმა სუფსის სარეწაოების მუშაკთა სახელით იკისრა 1940 წლის ბურღვისა და ნავთის ამოღების გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

დასასრულ, მიტინგზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი ამხ. ალ. კობერიძე, რომელმაც საქართველოს ნავთის მრეწველობის ბურღვის კანტორის მუშაკებს მიულოცა ღირსეული ჯილდო და უსურვა შემდგომი წარმატება.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 21 სექტემბერი (საქდესი). უმაღლესი სარდლობა აქვეყნებს შემდეგ ცნობას:

„გუშინ ჩვენი ავიაციის მოქმედება მიმართული იყო, უწინარეს ყოვლისა, ლონდონის წინააღმდეგ. ბომბარდირების შედეგად ძალზე დაზიანდნენ სხვადასხვა სამხედრო ნაგებობანი ქალაქის ცენტრში. რამდენიმე ყუმბარა მოხვდა ალბერტის დოკებს. თვითმფრინავთა მცირე შენაერთებმა იერიში მიიტანეს სამხედრო-სამეურნეო თვალსაზრისით მნიშვნელოვან საწარმოებზე ლონდონის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში, ნავსადგურზე, აგრეთვე აეროდრომებსა და სხვა სამხედრო ობიექტებზე სამხრეთ და შუა ინგლისში.

ინგლისის ავიაცია ღამით თავს დაესხა დასავლეთ გერმანიის ქალაქებს, რის შედეგადაც დანგრეულია რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, ეკლესია და სასაფლაო. სამოქალაქო მოსახლეობაში მოკლულია 13 კაცი და მრავალი დაჭრილია. გუშინდელი დღის განმავლობაში ჩამოგდებულ იქნა ინგლისის 14 თვითმფრინავი. გერმანიის ერთი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

სამმა ჩვენმა წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მტრის 14 გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 78.862 სარეგისტრო ბრუტო-ტონას უდრის.

ბერლინი, 21 სექტემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, 19 სექტემბერს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დააყარეს ქალ. ჰაიდელბერგს. არის მსხვერპლი.

20 სექტემბერს, ღამით, მტრის ავიაცია ცდილობდა თავს დასხმოდა დასავლეთ გერმანიას, ჰამბურგსა და ბერლინს, მაგრამ უკუქცეულ იქნა.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 21 სექტემბერი. როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 20 სექტემბერს, დილით, გერმანიის ავიაციის შენაერთებმა კვლავ გადასჭრეს კენტის საგრაფოს სანაპირო. მაგრამ მათ მოაღწიეს მხოლოდ ლონდონის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბნებამდე, სადაც ყუმბარების მცირე რაოდენობა ჩამოჰყარეს. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა. ერთი კაცი მსუბუქად დაიჭრა. ბრაიტონში ბომბარდირებამ დააზიანა საცხოვრებელი შენობები. არის მსხვერპლი. მიუხედავად მოღრუბლულობისა, საჰაერო ბრძოლაში, წინასწარი ცნობებით, ჩამოგდებულია გერმანიის ოთხი თვითმფრინავი. ჩვენმა ავიაციამ 7 გამანადგურებელი დაჰკარგა.

19 სექტემბერს ღამით, ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალები განაგრძობდნენ ოპერაციებს სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ გერმანიაში და ლა-მანშის სანაპიროზე.

არა ერთი ძლიერი ბომბარდირება განიცადა ორმა აკვედუკმა დორტმუნდ-ემსის არხზე (მინსტერის ჩრდილოეთით), რომელიც გერმანიის ერთერთ უმნიშვნელოვანეს შიდა გზას წარმოადგენს. ეს აკვედუკები ინგლისის ავიაციამ ძალზე დააზიანა წარსულ თვეში, მაგრამ მერმედ აღადგინეს. ერთერთი აკვედუკი აფეთქდა.

ოსტენდეში ბომბარდირების შედეგად რამდენიმე ადგილას გაჩნდა ხანძარი სანავსადგურო ნაგებობებსა და სასაქონლო საწყობებში. ფლისინგენში ნავსადგურის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებში მრავალი ძლიერი აფეთქება მოხდა. ბომბარდირება განიცადეს სამხედრო ობიექტებმა ფერბრეედის არხის რაიონში და იქ მდგარმა კარჭაპებმაც, რომლებშიც რამდენიმე აფეთქება მოხდა. ბევრ კარჭაპს ცეცხლი მოედო.

დაბალი ფრენის დროს ყუმბარა დავაყარეთ დიუნკერკის დოკებს. დოკებში ხანძარი გაჩნდა. ინგლისის ყუმბარმშენი ავიაციის სხვა შენაერთები თავს დაესხნენ რკინიგზის საწყობებს მანჰაიმში, საქონლის საწყობებს ერანგსა და ნეკარაუში (4 მილზე მანჰაიმის სამხრეთით), აგრეთვე მთავარ რკინიგზის ხაზებს კობლენცში. ბომბარდირება განიცადა რაინის ხიდმაც ტრირის (გერმანია) მახლობლად, არხმა ფირესა და მიდელბურგს (ჰოლანდია) შორის. თავდასხმა მოეწყო ბერგენის აეროდრომზე (ნორვეგია).

ინგლისის ავიაციის ბომბარდირებით გამოწვეული მსხვერპლი

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ინფორმირებული წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, გერმანიაზე ინგლისის საჰაერო თავდასხმების შედეგად ომის მთელი ხნის განმავლობაში სამოქალაქო მოსახლეობაში მოკლულია 600 კაცი და დაჭრილია 1.400. (საქდესი).

მდგომარეობა საფრანგეთის ინდო-ჩინეთში

ჩუნცინი, 21 სექტემბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, იაპონიის ახალი ულტიმატუმი, რომლის ვადაც 21 სექტემბრის შუაღამისას გავიდა, მოითხოვს, რათა იაპონიას უფლება მიეცეს 25.000 იაპონელი ჯარისკაცი გაატაროს ჩინეთის საზღვრისაკენ და ნება დაერთოს სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ბაზები აიგოს საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ტერიტორიაზე. ჩუნცინის ჩინელთა წრეები ფიქრობენ, რომ შექმნილი ვითარება საბოლოოდ გასტეხს საფრანგეთის ინდო-ჩინეთის გუბერნატორის დეკუს წინააღმდეგობას, რომელსაც დღემდე მტკიცე პოზიცია ეკავა იაპონიის მოთხოვნათა მიმართ. თუ იაპონიის ჯარი ინდო-ჩინეთში გადავიდა, ინდო-ჩინეთის ტერიტორიის ოკუპაცია მალე დამთავრდება, რადგან ინდო-ჩინეთის პატარა არმია ვერ შესძლებს ეფექტიანი წინააღმდეგობის გაწევას.

ჩინეთის მთავრობა ოფიციალურად იუწყება, რომ სამხედრო ხელისუფლებამ იკისრა იუნანის რკინიგზის კონტროლი კუნმინ-ხექსუს უბანზე. წინათ დადებულ საფრანგეთ-ჩინეთის სარკინიგზო შეთანხმების მიხედვით „სხვა სახელმწიფოსთან ჩინეთის მიერ ომის დაწყებისას ეს გზა ვალდებული არ არის ნეიტრალიტეტი დაიცვას და მთლიანად გადადის ჩინეთის განკარგულებაში".

ეხება რა ტაის (სიამის) მიერ საფრანგეთის ინდო-ჩინეთისათვის წარდგენილ მოთხოვნებს, სააგენტო აღნიშნავს: ჩინელთა წრეების აზრით, ეს მოთხოვნები „იაპონიის მიერ იყო ინსპირირებულიო". გავლენიანი ჩინური გაზეთები აფრთხილებენ ტაის.

ლონდონი, 21 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის ინდო-ჩინეთის გენერალ-გუბერნატორმა ადმირალმა დეკუმ, არსებული ცნობების თანახმად, უარჰყო იაპონიის ახალი მოთხოვნები, რომლებიც 19 სექტემბერს გადასცა მას იაპონიის მისიამ.

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, 170 იაპონელი, მათ შორის იაპონიის ოფიციალური მისიის წევრები სპეციალური მატარებლით წავიდნენ ხაიფონს, საიდანაც იაპონიაში გაემგზავრებიან. წასასვლელად ემზადებიან მისიის ხელმძღვანელებიც.

ბულგარეთის პარლამენტის სესიის გახსნა

სოფია, 21 სექტემბერი (საქდესი). გუშინ გაიხსნა სახალხო კრების (ბულგარეთის პარლამენტის) საგანგებო სესია.

დღეს პრესაში გამოქვეყნდა უმაღლესი მთავარსარდლის, მეფე ბორისის ბრძანება მესამე არმიის ნაწილებისადმი საზღვრის გადალახვისა და სამხრეთ დობრუჯის ტერიტორიის დაკავების შესახებ. დღეს, დილის 9 საათზე, სოფიის დროით, ბულგარეთის ჯარმა საზღვარი გადალახა.

პრემიერ - მინისტრის ფილოვის მოკლე სიტყვის შემდეგ სახალხო კრებამ დილის სხდომაზე უკამათოდ მოიწონა ბულგარეთ - რუმინეთის ხელშეკრულება ბულგარეთისათვის სამხრეთ დობრუჯის გადაცემის შესახებ.

საფრანგეთ-იაპონიის მოლაპარაკება

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, იაპონიის მაღალი წრეები აღნიშნავენ, რომ იაპონია ემზადება ხელთ იგდოს მთელი საფრანგეთის ინდო-ჩინეთი, თუ საფრანგეთი ნებას არ დართავს გატარებულ იქნას განუსაზღვრელი რაოდენობის იაპონიის ჯარი. როგორც აღნიშნავენ, ვიშის მთავრობა თანახმაა ინდო-ჩინეთზე გაატაროს განუსაზღვრელი რაოდენობის იაპონიის ჯარი, მაგრამ ინდო-ჩინეთის გენერალ-გუბერნატორი დეკუ დაჟინებით მოითხოვს შეზღუდულ იქნას ეს რაოდენობა.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

ჩუნცინი, 21 სექტემბერი (საქდესი). ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, უპასუხა რა კორესპონდენტთა შეკითხვაზე ხეკოუს პუნქტთან რკინიგზის ხიდის დანგრევის მიზეზებსა და კუნმინ-ხეკოუს უბანის იუნანის რკინიგზაზე ჩინეთის კონტროლის დაწესების შესახებ, განაცხადა: „რადგან იაპონიამ საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ხელისუფლებას მოსთხოვა ნება დართოს იაპონიის ჯარს ჩინეთის საზღვრისაკენ გამოვიდეს იუნანის პროვინციაზე თავდასასხმელად, ჩვენ თავდაცვის საჭირო ზომები უნდა მივიღოთ. ხეკოუსთან ხიდის დანგრევა ამ შემთხვევაში წმინდა თავდაცვითს ღონისძიებას წარმოადგენს. ხეკოუსა და კუნმინს შორის გზის უბანი მოლოდამხოლოდ ჩინეთის ტერიტორიაზე გადის. ასე რომ, საგანგებო პირობებში ჩვენ, ბუნებრივია, უფლება გვაქვს, რომ ეს გზა ჩვენი შეხედულებისამებრ გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ჩინეთ-საფრანგეთის რკინიგზის—კუნმინ—ხაიფონის რკინიგზის წესდების მე-24 მუხლი ითვალისწინებს, რომ ეს გზა ჩინეთის სრულს განკარგულებაში უნდა იქნას გადაცემული იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთი ომში ჩაებმება რომელიმე სახელმწიფოსთან. ამრიგად, ამ რკინიგზის მართვა-გამგეობის ჩვენი უფლება გათვალისწინებულია თვით რკინიგზის წესდებით. რკინიგზის მოსამსახურენი თავის ადგილას რჩებიან".

იტალიის ცნობები

რომი, 21 სექტემბერი (საქდესი). იტალიის სარდლობა აქვეყნებს შემდეგს ცნობას: „წარსულ ღამეს მტერმა ყუმბარა დაუშინა ქალაქ ბენგაზის. სამხედრო ობიექტები არ დაზიანებულა, მაგრამ ძალზე დაზარალდა დასახლებული უბნები. მოკლულია სამი და დაჭრილია 25 კაცი. დღე და ღამის განმავლობაში ჩვენი თვითმფრინავები წარმატებით უშენდნენ ყუმბარას რკინიგზის ნაგებობებსა და საწყობებს მერსა-მატრუხში. დიდი ნგრევა მოხდა, ზევრგან ხანძარი გაჩნდა. ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

აღმოსავლეთ აფრიკაში ბრძოლა მდინარე აკობოს (ზემო-სუდანის საზღვარი) ხეობაში ჩვენთვის წარმატებით დამთავრდა. მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა 30 მოკლული, ჩვენ 9 კაცი დაგვიჭრეს. იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ადენის აეროდრომს და გემთა ორ ქარავანს, რომლებიც სამხედრო ხომალდების ბადრაგობით ბაბელ მანდების სრუტეში მიდიოდნენ.

მტერმა ჩვეულებრივი თავდასხმა მოახდინა ასაბზე, ტესენეიზე, გურაზე, ხარარსა და დირედაუაზე. მსხვერპლი არ ყოფილა. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის

შრომის დეზორგანიზატორები და მათი მფარველნი სასტიკად უნდა დაისაჯონ

(მახარაძე, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

მახარაძის რაიონის მთელ რიგ საწარმოებში უხეშად ირღვევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულება. ადგილი აქვს შრომის დეზორგანიზატორებისადმი მფარველობას, უხელფასო შვებულებების გაცემის პრაქტიკას.

აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მუშა თ. სლაშევა შვებულებიდან 10 დღის დაგვიანებით დაბრუნდა. იგი პასუხისგებაში მისცეს. ფაბრიკის ტექნიკურმა დირექტორმა კულარიამ მას მისცა ცნობა, ვითომც სლაშევასათვის 10 დღის უხელფასო შვებულება მიეცეს. ამრიგად კულარიამ დაარღვია 26 ივნისის ბრძანებულება, მფარველობა გაუწია შრომის დეზორგანიზატორს.

მახარაძის ჩაის ფაბრიკის მუშა ს. სტრელეცი 29-30 და 31 აგვისტოს სამუშაოზე არ გამოცხადებულა; იგი პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ ამის შემდეგ მას აღნიშნულ დღეებში უხელფასო შვებულება მისცეს, რითაც დაჰფარეს შრომის დეზორგანიზატორი.

ლაითურის ჩაის ფაბრიკის (დირექტორი — შ. სიხარულიძე) მუშამ მ. ბულეტნიკომ სამუშაო მიატოვა. ასევე მოიქცა ფაბრიკის კიდევ 8 მუშა, ხოლო დირექციას მათი საქმე სასამართლოსათვის არ გადაუცია. ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციაც გულგრილობას იჩენს. იგი კონტროლს არ უწევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების შესრულებას.

კვაჭალათის აგურის ქარხანაში სამუშაო დღის ხანგრძლივობა თვითნებურად 7 საათით განსაზღვრეს. ამაზე ქარხნის ხელმძღვანელებისათვის დღემდე არავის მოუთხოვია პასუხი.

საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელი ამხანაგები ზოგჯერ უხეშად არღვევენ შრომის დისციპლინას. მაგალითად, აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის ფაბკომის თავმჯდომარემ ვ. ქანტურიშვილმა 28 აგვისტოს 11 საათზე მიატოვა სამუშაო და საქეიფოდ წავიდა.

ჩვენ მოვითხოვთ შრომის დეზორგანიზატორებისა და მათი მფარველების სასტიკად დასჯას.

ვ. ჯაყელი

თათბირი საქართველოს სსრ პროკურატურაში

გუშინ, საქართველოს სსრ პროკურატურაში შესდგა თბილისის რაიონების პროკურორების, პროკურორთა თანაშემწეებისა და გამომძიებლების თათბირი.

თათბირმა განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 10 ივლისის ბრძანებულების განხორციელების საქმეში პროკურატურის ორგანოების მუშაობის საკითხი. აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორი ამხ. პ. მოროზოვი.

მოხსენების გარშემო ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაიმართა.

თათბირზე გამოირკვა, რომ 10 ივლისის ბრძანებულების შესასრულებლად პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან. პროკურორები და გამომძიებლები იმის გამო, რომ სათანადოდ არ იცნობენ ამა თუ იმ წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს, ხშირად ვერ ახერხებენ გამოააშკარაონ ცუდი პროდუქციის გამოშვების ფაქტები.

თათბირზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ამხ. ს. ჯანჯღავა.

ამხ. ს. ჯანჯღავამ თათბირის მონაწილეებს განუმარტა თუ რა შემთხვევაში უნდა აღძრან საქმეები იმათ მიმართ, ვინც კონკრეტულად დამნაშავეა ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ 10 ივლისის ბრძანებულების განხორციელების საქმეში არ შეიძლება დავუშვათ ოდნავი დაყოვნებაც კი. ამ დარგში აღძრული საქმეების გამოძიება აუცილებლად უნდა დასრულდეს ათი დღის განმავლობაში. ის პროკურორები და გამომძიებლები, რომლებიც ასეთ საქმეებს თუნდაც ერთ დღეს დააყოვნებენ, თვით იქნებიან მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ერთი პლენუმის, მისი „რეგლამენტისა“ და დროის ფასის შესახებ

16 და 17 სექტემბერს თბილისში, ლ. პ. ბერიას სახელობის კულტურის სახლის საზაფხულო თეატრში მიმდინარეობდა საქართველოს სარეწაო საბჭოს მეოთხე პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა სარეწაო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ვ. შავგულიძის მოხსენება—საქართველოს სარეწაო საბჭოს 1940 წლის 8 თვის მუშაობის შედეგებზე და ამხ. გ. გოგიჯანოვის მოხსენება — უკრაინის სარეწაო საბჭოსთან სოცშეჯიბრების ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ. განხილულ იქნა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები. პლენუმმა აღნიშნულ საკითხებზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

ზოგი რამ პლენუმის მუშაობაზე. იგი დანიშნული იყო 8 საათზე, მაგრამ დაიწყო 9 საათსა და 10 წუთზე, რადგან პლენუმის რამდენიმე წევრმა დაიგვიანა.

ახლა პირველ მოხსენებაზე. არ შეიძლება ითქვას, რომ იგი საერთოდ ცუდად იყო დაწერილი, მაგრამ რამდენიმე შენიშვნა აუცილებლად უნდა გავაკეთოთ.

პირველი, რაც თვალში გეცემათ ეს არის მოხსენების დიდი ზომა. იგი 61 ნაბეჭდ გვერდს შეიცავს. შემდეგ ნაკლები ყურადღება ექცევა საკვანძო საკითხებს. თუგინდ ასეთი ფაქტი: მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობას დათმობილი აქვს მხოლოდ ხუთი გვერდი და აქედანაც სამი გვერდი ბრძანებულების ზოგად პოლიტიკურ და ეკონომიურ მნიშვნელობაზე მოგვითხრობს. ასევე სტახანოვური მოძრაობის, შრომის ნაყოფიერებისა და გამომუშავების საკითხებს მოხსენებაში დათმობილი აქვს ორნახევარი გვერდი, ხოლო კადრების შესწავლის, განაწილებისა და დაწინაურების საკითხებისათვის რაღაც ერთი გვერდი გაუმეტებიათ.

გამოირკვა, რომ სარეწაო საბჭომ 8 თვეში სამრეწველო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა მხოლოდ 54,2 პროცენტით შეასრულა. გასულ წელთან შედარებით პროდუქციის გამომუშავება 15 პროცენტით შემცირდა, მაგრამ მოხსენებაში ჩამორჩენის მეტად ზერელე ანალიზია მოცემული. სხვა ორგანიზაციებზე და სახალხო კომისარიატებზე იშვერენ ხელს—ისინი არიან ჩვენი ჩამორჩენის მიზეზიო.

მოხსენების დაწყებიდან ერთი საათი გავიდა, მაგრამ მის დამთავრებას არა ეშველა რა. იძულებული გახდნენ რეგლამენტი 10 წუთით გაედიდებინათ (10 წუთი ითხოვა მომხსენებელმაც). მომხსენებელი მეტისმეტად სწრაფად კითხულობდა, მაგრამ დრო მაინც არ ეყო. მან მეორე რეგლამენტს 5 წუთი კიდევ გადაამეტა.

კამათში 14 კაცი გამოვიდა. დიდმა უმრავლესობამ დაწესებული რეგლამენტი დაარღვია. თვითეული 15-20 წუთს მაინც ლაპარაკობდა.

მოკამათეთაგან ბევრი კრიტიკულად გამოვიდა, თუმცა მათ არაერთხელ აწყვეტინებდნენ რეპლიკით: თქვენს თავზე ილაპარაკეთ, უმჯობესია თქვენს ნაკლოვანებებს შეეხოთო და სხვ.

იყო მლიქვნელური გამოსვლაც. არტელ „ტაბახმელის“ თავმჯდომარემ კარაპეტიანმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

— ამხ. შავგულიძისა და გოგიჯანოვის ხელმძღვანელობით ჩვენ ახალ წარმატებებს მოვიპოვებთო. პრეზიდიუმში მსხდომმა ამხანაგებმა ეს სიტყვები ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნიეს, შეიშვნეს, ორატორი კი ტაშით გააცილეს...

მეორე დღეს პლენუმის მეორე სხდომაც 40 წუთის დაგვიანებით დაიწყო. კამათში უკანასკნელად ამხ. ხინველი გამოვიდა. მისი გამოსვლა „საბედისწერო“ გამოდგა. ელვა-ქუხილი ატყდა. წვიმა წამოვიდა. მხოლოდ წვიმამ დააჩქარა კამათის შეწყვეტა და პლენუმის დამთავრება.

ამხანაგები სარეწაო საბჭოდან გვისაყვედურებენ: რა მოხდა, პლენუმის დაწყებამ რაღაც ერთი საათი დაიგვიანა, რა მოხდა, რომ ამხანაგებმა რეგლამენტი დაარღვიესო.

შეიძლებოდა მართლაც არაფერი გვეთქვა, რომ ასეთი მოვლენები ბევრ პლენუმსა და კრებაზე არ მეორდებოდეს.

ახლა როდესაც მთელი ქვეყანა დროის ფაქტორის რაციონალურ გამოყენებაზე ლაპარაკობს რატომ უნდა ხდებოდეს, რომ ორ-სამ კაცს საათობით ელოდებოდეს მთელი კრება? რატომ ასმა კაცმა უნდა უცადოს ერთ ან ორ კაცს? ეს ხომ დროის უბრალო ხარჯვაა?

ანდა რეგლამენტის საკითხი. განა მას იმიტომ ვადგენთ, რომ აუცილებლად დავარღვიოთ? მაშ, რატომ არ ვიცავთ ხოლმე მას?

ნუთუ უკეთესი არ არის შევეჩვიოთ წესრიგს, აკურატობას, ვისწავლოთ დროის ფასი?

პ. ჭიოკაძე

გაწვევა წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში

გაწვევა ფოთში

ფოთი, (საქდესი). ჩვენი დიადი სამშობლოს ახალგაზრდა პატრიოტები უდიდესი აღფრთოვანებით მიეშურებიან წითელ არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში.

სამხედრო კომისარიატში ბევრი განცხადებაა შესული ვადამდე გაწვევის შესახებ.

ქალაქად მცხოვრები წვევამდელები ორგანიზებულად ცხადდებიან გასაწვევ პუნქტზე. ნავსადგურის გემსარემონტო სახელოსნოების სტახანოველ მუშას ნიკოლოზ კალიუჟნის, რომლის მკერდსაც სამი თავდაცვითი ნიშანი ამშვენებს, სურს იმსახუროს სამხედრო - საზღვაო ფლოტში.

— მე მინდა წყალქვეშელთა სახელოვან რიგებში ვიყო, — ამბობს იგი.

ნავსადგურის სტახანოველი წვევამდელი ილია სანიკიძე, რომელიც 160 - 170 პროცენტით ასრულებს ნორმებს, აცხადებს, რომ მას სურს არტილერისტი გახდეს.

პუნქტის ეზოში მოწყობილია ტირი, სადაც მომავალი წითელფლოტელები და წითელარმიელები სროლაში ეჯიბრებიან ერთმანეთს.

მეჭარხლე ს. ქეთიშვილი ახალ რეკორდს გვპირდება

(კასპი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

გზის პირად ჯგუფად ამოსულ კაკლის ხეებს გავსცდით. მდინარეზე ახლად აგებული ხიდი გავიარეთ, ესეც მრგვალიჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, სადაც საკოლმეურნეო შრომის გმირებმა მინდვრები სიძუნწეს გადააჩვიეს და უხვი მოსავლით ყველა ხარობს.

კოლმეურნეობის საამაყო ადამიანთა სიაში სონია ქეთიშვილი განსაკუთრებით გამოირჩევა. ის, როგორც სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე, ორჯერ იყო წითელ მოსკოვში. გამოფენაზე, მზიურ საქართველოს პავილიონში წარმოდგენილია კასპელი კოლმეურნის სონია ქეთიშვილის მიღწევებიც.

რით მიაღწია ამხ. ქეთიშვილმა წარმატებას?

საქმე სოციალისტური შეჯიბრებით დაიწყო. სონია ქეთიშვილი სოფელში რომ დაბრუნდა, თავისი რგოლის წევრებს უამბო მეჭარხლე სტახანოველთა რაიონული შეკრების შესახებ.

ქალებო, მთელი ქვეყანა ემზადება სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის, ჩვენც უნდა მოვემზადოთ. რაიონულ შეკრებაზე ვალდებულება ავიღე ჰექტარზე 1.200 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მოყვანის შესახებ. თქვენ რას იტყვით? — სთქვა მან.

სიჩუმე, ცოტაოდენი ყოყმანი. ქალებმა რგოლის ხელმძღვანელის წინადადება აწონ-დაწონეს, ერთსულოვნად მიიღეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში კოლმეურნეობის მეჭარხლეთა ყველა რგოლი გამოიწვიეს.

მარტში, დილით ქეთიშვილმა თავისი რგოლის წევრები საჭარხლე ნაკვეთში წაიყვანა. იქ ერთი ჰექტარი მიწა რგოლის წევრებმა ჯერ კიდევ 1938 წლის შემოდგომაზე გასწმინდეს ბუჩქების, ძირკვებისა და ქვებისაგან. მიწა ღრმად და უხარვეზოდ მოხნეს.

გაზაფხულზე კი რგოლი შეუდგა მზრალად მოხნული საჭარხლე ფართობის ორმაგ ფარცხვას. თესვის დაწყების წინ საჭარხლე ფართობი უკვე აოშილი, კულტივაციაქმნილი, ზიგზაგით დაფარცხული და სარეველა ბალახებისაგან გასუფთავებული იყო. რგოლმა მალე დაამთავრა შაქრის ჭარხლის მწკრივად თესვა. თესლი 5 სანტიმეტრის სიღრმეზე ჩათესეს, ფართობი დატკეპნეს.

დადგა შაქრის ჭარხლის ნათესების მოვლა-დამუშავების პასუხსაგები პერიოდი. ს. ქეთიშვილმა თავისი გეგმა რგოლის წევრებს გააცნო. ჭარხლის მოვლა რგოლის ყველა წევრს დაავალა.

როცა ფართობში შაქრის ჭარხლის მწკრივები გამოჩნდა, რგოლმა დაიწყო რიგთაშორის მიწის გაფხვიერება. მალე ჭარხლის თვითეულმა ძირმა ორ-ორი ფოთოლი გამოიღო. ახლა რგოლი ჭარხლის გამოხშირვაზე და რიგთაშორის ხელმეორე გაფხვიერებაზე გადავიდა, აგვისტოსა და სექტემბერში კი რგოლმა საჭიროდ სცნო ნიადაგის დამატებითი გაფხვიერება, რაც კიდევაც ჩაატარა.

ს. ქეთიშვილის რგოლმა გამოცდილებით იცოდა, რომ მთელ ფართობზე წყლის ერთბაშად მიშვებით მორწყვა ყოველთვის როდია ხელსაყრელი. ამიტომ დაიწყო კვლებში წყლის გაშვებით მორწყვა. ივნისიდან სექტემბრამდე კვლების საშუალებით მორწყვა ხანგამოშვებით სწარმოებდა, დამატებითი კვებისათვის კი რომელიც სულ ოთხჯერ ჩაატარეს, მაქსიმალურად გამოიყენეს ადგილობრივი სასუქები.

აი შედეგიც: მაღალი აგროტექნიკის გამოყენებით ს. ქეთიშვილის რგოლმა ჰექტარზე 111.000 ძირზე მეტი შაქრის ჭარხალი შეინარჩუნა, მცენარე კარგად განვითარდა და სახელოვანმა ქალიშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება: ჰექტარზე 1.200 ცენტნერი შაქრის ჭარხალი აიღო.

როგორია მდგომარეობა წელს? მიუხედავად გვალვისა, მოსავალს საუცხოო პირი უჩანს.

ს. ქეთიშვილი წელს ახალ რეკორდს გვპირდება.

ს. ყურაშვილი

დაიწყო შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება

ქარელი, 21 სექტემბერი (საქდესი). 20 სექტემბრიდან სოფ. ქვემო ხვედურეთის, რუისის, ქარელის, კეხისჯვრის, დირბისა და ტახტიძირის კოლმეურნეობები შაქრის ჭარხლის მოსავლის აღებას შეუდგნენ. 21 სექტემბერს ქარელის მიმღებ პუნქტს პირველი 300 ცენტნერი ჭარხალი ჩაჰბარდა.

სოფ. ქარელის III ინტერნაციონალის სახელობის 8 ბრიგადა დილა ადრიან შეუდგა ჭარხლის ხელით ამოღებას, და საღამოსათვის ერთი ჰექტარი მოსავალი აიღო. ამხ. გოგიჩაშვილის ბრიგადის ყველა მთხრელმა ნორმა 130-150 პროცენტით შეასრულა. სტახანოველმა კოლმეურნემ ოლღა შავდათუაშვილმა ჭარხლის გაწმენდის დღიური ნორმა 200 პროცენტით შეასრულა. მთელი ამოღებული ჭარხალი კოლმეურნეობამ იმავე დღეს გაასუფთავა და მიმღებ პუნქტს ჩააბარა.

მოსავლის აღების პირველი დღიდან შაქრის ჭარხლის პლანტაციებში სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა ჭარხლის მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. პირველსავე დღეს რაიონის ყველა კოლმეურნეობამ დავალება გადამეტებით შეასრულა.

ჭარხლის მიმღები პუნქტი მზად არ არის

(კასპი, ტელეფონით „კომუნისტის“ კორ.).

კასპის რაიონის კოლმეურნეობებში დაიწყო შაქრის ჭარხლის ამოღება. სოფ. ხვითის კოლმეურნეობის პირველმა და მეორე ბრიგადებმა 20 სექტემბერს მიმღებ პუნქტს ჩააბარეს 27 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

21 სექტემბერს სოფ. ქედის და ნიქოზის კოლმეურნეობებმა კასპის მიმღებ პუნქტს 40 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ჩააბარეს, მაგრამ ჭარხალი მთლიანად დაუხარისხებელი აღმოჩნდა. თვით მიმღები პუნქტი არ არის ყოველმხრივ მზად. პუნქტს აკლია 2 მწონავი, 3 მზვინავი, 1 დამხარისხებელი და 20 მტვირთავი მუშა. მუშახელი პუნქტისათვის უნდა მიეწოდებინა ლამისყანის, კოდისწყაროს, ნიქოზის და ოკამის სასოფლო საბჭოებს. მაგრამ ისინი ამ საქმისათვის თავს არ იწუხებენ. თუ ეს მდგომარეობა გაგრძელდა, შაქრის ჭარხლის დროზე დამზადებას საფრთხე მოელის.

გავაძლიეროთ ჩაის ფოთლის კრეფა

წყალტუბო, (საქდესი). წყალტუბოს რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობანი შეუწყნარებლად ჩამორჩნენ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაში. სოფ. მაღლაკის თავდაცვა-ავიაქიმის სახელობისა, სოფ. ფარცხანაყანევის სტალინის სახელობისა და სხვ. კოლმეურნეობებმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის აგვისტოს გეგმა 30-39 პროც. შეასრულეს. ამისი შედეგი ის არის, რომ რაიონმა აგვისტოს გეგმა მხოლოდ 52,5 პროც. შეასრულა.

ჩამორჩენა სექტემბერშიც გრძელდება.

მიწათმოქმედების ორგანოები და ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობანი ჩამორჩენას უამინდობით ხსნიან. მაგრამ, ეს ასე როდია. ამას თუნდაც ის ამტკიცებს, რომ ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა მეზობელ კოლმეურნეობებს წლიური გეგმა უკვე გადაჭარბებით აქვთ შესრულებული. მაგალითად, სოფ. მაღლაკის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობას წლიური გეგმა შესრულებული აქვს 140 პროც., წყალტუბოს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობას — 107,2 პროც. და სხვ.

გერანის მოსავლის აღება

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წელს აღებულ უნდა იქნას 27.180 ტონა გერანის ნედლეული. 20 სექტემბერს აღებული იყო 7.419,7 ტონა—გეგმის 27,3 პროცენტი.

გაგრის რაიონში დავალება შესრულებულია 32,5 პროცენტით, სოხუმის—35,5, ოჩამჩირის — 12,9, ცხაკაიას—14,6, ლაგოდეხის—29,3, ყვარლის — 24,7, თელავის—23,7 და ბორჩალოს რაიონში—27,6 პროცენტით.

ყვარლის რაიონის ცნობები 16 სექტემბრისაა. 20 სექტემბერს ზემოთაღნიშნული რაიონების კოლმეურნეობებში აღებული და დამზადებული იყო 6.354,7 ტონა გერანი — გეგმის 26,5 პროცენტი, საბჭოთა მეურნეობებში კი—1.065 ტონა, გეგმის 33,5 პროცენტი.

გერანის ნედლეულის გადამმუშავებელმა ქარხნებმა წელს უნდა მოგვცენ 36.755 კილოგრამი ზეთი. ფაქტიურად მიღებულია 11.716,4 კილოგრამი.

გაგრის მესამე ინტერნაციონალის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ქარხანაში ზეთის გამოსავლიანობა არის 0,178 პროცენტი, ბაბუშერის ქარხანაში—0,153, ტამიშის—0,183, ხორშინის — 0,171, ლაგოდეხის — 0,157, ყვარლის — 0,140, თელავის—0,164 და ბორჩალოს ქარხანაში—0,145 პროცენტი.

ბაბუშერის ქარხნის ცნობა ზეთის გამოსავლიანობის შესახებ დაახლოებითია, ყვარლისა კი 16 სექტემბრისაა.

ლაგოდეხის, თელავისა და ყვარლის რაიონები ჯერ არ შესდგომიან გერანის ნედლეულის მეორედ აჭრას. ეს დიდი ჩამორჩენაა. მოსავლის მეორე აჭრა ახლა მასობრივად უნდა იყოს გაშლილი ყველა რაიონში. ამავე დროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნედლეულის ხარისხს.

ლატვიის სს რესპუბლიკაში ამზადებენ ტრაქტორისტებს მტს-ებისათვის. სურათზე: ტრაქტორისტები სწავლობენ მუხლუხა ტრაქტორის აღნაგობას. შუაში, მარჯვნივ — ინსტრუქტორი ამხ. ბაუმანი უხსნის მსმენელებს მოტორის მუშაობას.
ფოტო კისლოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ბოლშევიკურად მოვემზადოთ შემოდგომა-ზამთრის რემონტისათვის

შემოდგომა-ზამთრის რემონტისათვის დროულად მომზადებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ავტოტრაქტორის პარკის რემონტის წარმატებით შესრულებისათვის. წინა წლების პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ცუდი მომზადების შედეგად მრავალი მტს-ი იძულებული იყო ავტოტრაქტორის პარკის შემოდგომა-ზამთრის რემონტი ფაცა-ფუცით და იერიშობანას ვითარებაში ჩაეტარებინა. ამას შედეგად მოსდევს რემონტის კალენდარული ვადების ჩაშლა, რემონტის ცუდი ხარისხი და სახსრების გადახარჯვა. მაგალითად, შარშან სტალინირის მტს-მა მეოთხე კვარტალის რემონტის გეგმა 68,2 პროცენტით შეასრულა, ბოგდანოვკისამ—54,3 პროცენტით და სხვ. გორის მტს-მა ამ წლის პირველსა და მეორე კვარტალში ტრაქტორების რემონტისათვის ზედმეტად დახარჯა 62.400 მანეთი, წითელწყაროსამ—44.100 მანეთი.

შემოდგომა-ზამთრის რემონტისათვის მზადება წელსაც არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

თბილისის მტს-ის სარემონტო სახელოსნო მშენებლობა 1938 წელს დაიწყო და ჯერაც არ დამთავრებულა. მცხეთის და წითელქალაქის მტს-ების სახელოსნოების მშენებლობა შეუწყნარებლივ ჭიანურდება. ოსიაურის, კასპისა და სადახლოს მტს-ები სახელოსნო შენობების რემონტისათვის მიღებულ თანხებს სხვა მიზნებისათვის ხარჯავენ. არ იყენებენ მტს-ის შინა რესურსებს და რესტავრაციისათვის გამოსადეგ ნაწილებს იწუნებენ.

მტს-ები რომ წარმატებით მოემზადონ ავტოტრაქტორის პარკის შემოდგომა-ზამთრის რემონტისათვის, ამ მიზნით საქართველოს სსრ მიწსახკომმა წინადადება მისცა მათ დაწესებულ ვადებში დაამთავრონ ახალი სარემონტო სახელოსნოს მშენებლობა, არსებული სახელოსნოების რემონტი, გამოავლინონ რესტავრაციისათვის გამოსადეგი ყველა დეტალი და პირველი ოქტომბრისათვის აღადგინონ. ამავე ვადისათვის სავსებით გაამზადონ სახელოსნოს მოწყობილობა (ახალი დაზგების დადგმა, ძველი დაზგების რემონტი, სამუშაო ინვენტარის გაკეთება და შეძენა და სხვ.). სარემონტო ბრიგადებისათვის მოამზადონ საერთო საცხოვრებელი, სასადილო, წითელი კუთხე, მოაწყონ საზოგადოებრივი კვება.

საქსოფლმომარაგებას წინადადება მიეცა საჭირო მასალით მოამარაგოს მტს-ები.

მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველოს წინადადება მიეცა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლებთან მოაწყოს ყოველი მტს-ისათვის თითო კონტროლიორ-წუნმდებლის მოსამზადებელი თვიური კურსები. (საქდესი).

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრის განცხადება

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრმა სტიმსონმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საფრანგეთის დამარცხებამ ამერიკის შეერთებული შტატები განსაკუთრებულ პირობებში ჩააყენა, რომლებმაც გავლენა მოახდინა მთელი არმიის საქმიანობაზე. ინგლისის ბაზების შეძენა ფაქტიურად წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის პირველი ხაზის გაფართოებას. სტიმსონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1 ივლისიდან სამხედრო სამინისტრომ გაანაწილა დაკვეთა 9.174 თვითმფრინავის ასაგებად იმ 18.641 თვითმფრინავიდან, რომლებისთვისაც კონგრესმა გაიღო სახსრები.

19 სექტემბერს რუზველტმა ხელი მოაწერა კანონს ნიუ-იორკის ნავსაყუდელში და კარაიბის ზღვაში სამხედრო მშრალი დოკების აგებისა და საუტ ბოსტონში სამხედრო გემთსაშენის გაფართოების შესახებ. სამისო ხარჯების საერთო თანხა 23.680 ათას დოლარს უდრის.

დასასრულ, სტიმსონმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის თავდაცვის შედარებით მტკიცე ხაზმა 1917 წელს და ინგლისის უდავო საზღვაო ძლიერებამ ამერიკის შეერთებულ შტატებს საშუალება მისცა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში დროულად განეხორციელებინათ საომარი მზადება. ამჟამად საფრანგეთის თავდაცვის ხაზი აღარ არსებობს, ხოლო ინგლისის საზღვაო ძლიერება საფრთხეშია. ამერიკის შეერთებული შტატებისათვის საჭიროა ჯარისკაცები თავდაცვის გარე ხაზების, ე. ი. ინგლისისაგან მიღებული ბაზების დასაცავად.

პრესის წარმომადგენელთა შეკითხვაზე ომში ინგლისის შანსების შესახებ სტიმსონმა უპასუხა, რომ სამხედრო სამინისტროს მიერ ამჟამად მიღებული მოხსენებები „უფრო ოპტიმისტურია“, ვიდრე 6 თვის წინათ.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვიშიდან იუწყება, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბოდუენმა ამერიკის კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა: საფრანგეთი ალბათ, იძულებული გახდება დასთანხმდეს იაპონიის მოთხოვნებსო. მაგრამ,—აღნიშნა ბოდუენმა,—იაპონიასთან მოლაპარაკება კიდევ გრძელდება. საფრანგეთს ესმის, —განაცხადა ბოდუენმა,—რომ იგი ვერავითარ რეალურ დახმარებას ვერ მიიღებს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, თუ იაპონია თავს დაესხმის ინდო-ჩინეთს. საფრანგეთი,—განაცხადა შემდეგ ბოდუენმა,—ამერიკის შეერთებულ შტატებს მუდამ აცნობდა მოლაპარაკების მიმდინარეობას. როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ვკითხეთ, როგორ მოიქცევით, ჩვენ რომ მივიღოთ ან უარვყოთ იაპონიის მოთხოვნებიო, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გვიპასუხეს, დიპლომატიურ პროტესტს განვაცხადებთო. ბოდუენმა განაცხადა, საკითხის გადასაწყვეტად ეს საკმარისი არ არისო.

უპასუხა რა კითხვაზე, თუ რა პოლიტიკას დაადგება საფრანგეთი ინგლისის მიმართ, ბოდუენმა სთქვა: საფრანგეთი დუმილის პოლიტიკას იცავს, ნაცვლად წინანდელი პოლიტიკისა, როდესაც იგი საჯაროდ გამოდიოდა პრესაში და ინგლისის წინააღმდეგ ილაშქრებდაო.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ვიშიდან გადმოგვცემს, ბოდუენმა ამერიკის კორესპონდენტებთან საუბრის დროს ეჭვი გამოსთქვა, რომ იუნანის რკინიგზის და ხეკოუს მახლობლად ხიდის დანგრევა იაპონელებს ხელს აღებინებს თავიანთ მოთხოვნაზე იმის შესახებ, რომ მათ ჯარის გაყვანის უფლება მიეცეთ; ამ ეჭვს იგი იმით ასაბუთებს, რომ ჯერ არ არის გამორკვეული, იაპონიის გენერალური შტაბი ამ რკინიგზის გამოყენებას აპირებს, თუ იაპონელები მდინარის ველის გასწვრივ შეუტევენ ღრმა ხეობებით.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა

ბერლინი, 20 სექტემბერი (საქდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, გუშინ, საღამოს, საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე იხილავდნენ მთელ რიგ ეკონომიურ საკითხებს. სხვადასხვა მიზნებისათვის გადადებულია 25 მილიარდი ფრანკი.

სხდომაზე გადაწყდა დაწესდეს ბეჭდვითი სიტყვის ახალი სტატუტი და პროფკავშირული ორგანიზაციების სტატუტი.

მდგომარეობა ახალ კალედონიაში

ლონდონი, 20 სექტემბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთის კოლონიამ ახალმა კალედონიამ ურთიერთობა გასწყვიტა ვიშის მთავრობასთან და განაცხადა, რომ იგი დე გოლს უერთდება.

სამხრეთ-დობრუჯაში ბულგარეთის ჯარის შესვლის გამო

სოფია, 20 სექტემბერი (საქდესი). გუშინ, საღამოს 6 საათზე, ბულგარეთის ჯარმა საწყისი პოზიციები დაიკავა სამხრეთ-დობრუჯის საზღვარზე. ჯარის ნაწილებში არიან ბულგარელი და უცხოელი ჟურნალისტები, აგრეთვე ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო ატაშე. ისინი ბულგარეთის ჯარს შეჰყვებიან სამხრეთ-დობრუჯაში. გუშინ და დღეს ბულგარეთის ჯარი დაათვალიერა სამხედრო მინისტრმა ლასკალოვმა. დღეს პრესაში გამოქვეყნებულია ცნობა, რომ სამხრეთ-დობრუჯაში დაბრუნების მსურველმა ლტოლვილებმა ამის შესახებ ხელისუფლებას 25 სექტემბრამდე უნდა განუცხადონ.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი

ჩუნცინი, 20 სექტემბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს ჩუნცინიდან, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საპროტესტო ნოტა გადასცა ინგლისისა და ამერიკის ჩუნცინელ ელჩებს იმ ინციდენტის გამო, რომელიც 19 სექტემბერს მოხდა შანხაიში საერთაშორისო სეტლმენტის ტერიტორიაზე. ნოტაში აღნიშნულია, რომ შანხაის მოხალისეთა კორპუსის მცველი რაზმის ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს „მარტოხელი ბატალიონის“ ინტერნირებულ ჯარისკაცებს, ამასთან ერთი კაცი მოჰკლეს და ერთი დასჭრეს. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მოითხოვს დამნაშავეთა დასჯას და გარანტიას, რომ ასეთი ინციდენტები მომავალში აღარ გამეორდება; მასთან უფლებას იტოვებს მოითხოვოს კომპენსაცია.

პურის გაცემის ნორმა დანიაში

კოპენჰაგენი, 20 სექტემბერი (საქდესი). დანიის ვაჭრობის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდში სურსათის ნორმები დაწესდება. სულზე ყოველთვიურად გაიცემა 6 კილოგრამი შავი პური და 2 კილოგრამი და 100 გრამი ხორბლის პური. შავი პურის რაციონი 16 სექტემბერს შემოიღეს; თავდაპირველად დაწესებული იყო ნორმა, რომელიც წარსული ომის დროს არსებობდა, როდესაც სულზე ყოველთვიურად 8 კილოგრამ შავ პურს იძლეოდნენ.

სიძვირე უნგრეთში

ბუდაპეშტი, 20 სექტემბერი (საქდესი). უკანასკნელი თვეების განმავლობაში არაჩვეულებრივ ძვირდება ცხოვრება უნგრეთში. ამის გამო, როგორც გაზეთი „პოშტი უიშატი“ გადმოგვცემს, დიდ ინდუსტრიულ საწარმოებში მოძრაობა დაიწყო ხელფასის გადიდებისათვის. შესდგა უნგრეთის ერთ-ერთი უდიდესი მანქანათმშენებელი ქარხნის „დიერის“ მუშათა საერთო კრება. მიღებული რეზოლუციით მუშები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას 30 პროცენტით.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში. იაპონიის ჯარი ცდილობს განდევნოს ჩინელები მათ მიერ დაკავებული პუნქტებიდან ნანკინის ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ. ჩინეთის ჯარი და პარტიზანები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ მას.

ანხუეის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში ბრძოლა გრძელდება ტიანჩანის რაიონში.

ჯეძიანის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში 17 და 18 სექტემბერს იაპონელები ამაოდ ცდილობდნენ გადაესხათ დესანტი ლეცინა - ბენჯოუს და ხაიმინის რაიონში (ბენჯოუს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით).

ჩრდილოეთ ჩინეთში. ჩინეთის ჯარი განაგრძობს იერიშს იაპონიის გარნიზონების წინააღმდეგ, რომლებიც ჯენდინ-ტაიუანის რკინიგზის გასწვრივ არიან განლაგებულნი. გზაზე მიმოსვლა დარღვეულია. იაპონელთა ჯარის რაოდენობა ამ რაიონში 10 ათას კაცს აღწევს. ბრძოლის ინიციატივა ჩინელთა ხელშია.

ამ უკანასკნელ ხანს ძინჩენ-იანჩენის სექტორში (შანსის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი) გაჩაღებული ბრძოლის შედეგად ჩინეთის ჯარმა რამდენიმე პუნქტი დაიკავა.

როგორც შანხაის გაზეთები იუწყებიან, 8 სექტემბერს მარიონეტული „მთავრობის“ მესამე, მეოთხე და მეხუთე დივიზიის ნაწილები იაპონელებს აუჯანყდნენ. 16 სექტემბერს მარიონეტული ხელისუფლების ჯარის მე-9 დივიზია აჯანყდა. არის ცნობები, რომ ჩინეთის მთავრობის მხარეზე ამ ჯარების 10 ათასზე მეტი ჯარისკაცი გადავიდა.

სამხრეთ ჩინეთში. გუანდუნის პროვინციაში ჩინეთის ჯარი აქტიურად ამოქმედდა კანტონის ჩრდილოეთ-დასავლეთით.

20 სექტემბერი (საქდესი).

ინგლისის თვითმფრინავები ბელგიაში

რომი, 21 სექტემბერი. როგორც სტეფანის სააგენტო იუწყება, ინგლისის თვითმფრინავებმა 18 სექტემბერს, ღამით, ყუმბარა დაუშინეს ანტვერპენს. დანგრეულია საცხოვრებელი სახლები. მოკლულია 6 კაცი, მათ შორის ორი ბავშვი. დაჭრილია 5 კაცი. ტერმონდში დაზიანდა ჰოსპიტალი. მსხვერპლი არ ყოფილა.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის XXII საქალაქო კონფერენცია

გუშინ, საღამოს 8 საათზე, ვოროშილოვის სახელობის კლუბში გაიხსნა საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის XXII კონფერენცია. დელეგატებს შორის არიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, ორდენოსნები, საუკეთესო სტახანოველები, სტალინური სტიპენდიატები... დელეგატები ირჩევენ კონფერენციის ხელმძღვანელ ორგანოებს. საქმიან პრეზიდიუმში არჩეული არიან ამხანაგები: ჩარკვიანი, ბაქრაძე, შეროზია, ჯაში, თავაძე, თოფურიძე, იმხანოვი, მირცხულავა, ჩერქეზია, კვაჭაძე, ცქიტიშვილი, უმცროსი ლეიტენანტი ორდენოსანი ალექსანდროვი, ორდენოსანი აიშე გურგენიძე, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი ზეინკალი ცხვედაძე, ორდენოსანი სტუდენტი ე. გვანცელაძე და სხვ.

კონფერენცია საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით ირჩევს ხალხთა საყვარელ ბელადს, ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობარს დიდ **სტალინს** და ამხანაგებს **მოლოტოვს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, კალინინს, ანდრეევს, ჟდანოვს, მიქოიანს, ხრუშჩოვს, ბერიას, შვერნიკს და მიხაილოვს.**

კონფერენციამ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი: 1. საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის ანგარიში; 2. სარევიზიო კომისიის ანგარიში; 3. საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის, სარევიზიო კომისიის და საქ. ალკკ XV ყრილობის დელეგატების არჩევნები.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ცქიტიშვილი, მან ილაპარაკა იმ მიღწევებზე, რომელიც თბილისის კომკავშირულმა ორგანიზაციამ მოიპოვა საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

— საანგარიშო პერიოდში,—ამბობს მომხსენებელი,—ესე-იგი ერთი წლისა და 7 თვის განმავლობაში, თბილისის კომკავშირული ორგანიზაცია გაიზარდა რიცხობრივად და თვისობრივად. ამ ხნის განმავლობაში ორგანიზაციაში მიღებულია 18.589 მოწინავე ახალგაზრდა, ახლად შექმნილია 130 პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია, თბილისში ახალი რაიონების გამოყოფასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია კომკავშირის მოლოტოვისა და ბერიას სახელობის რაიკომები. თუ XXI კონფერენციაზე თბილისის კომკავშირულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა 44.798 წევრ-კანდიდატი, ამჟამად ირიცხება 52.751 წევრ-კანდიდატი, მათ შორის ქალთა რაოდენობა 40,3 პროცენტს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში ყველა პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციაში როდი იყო მიღების საქმე კარგად დაყენებული. ასე, მაგალითად, ახალგაზრდობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შესუსტების შედეგად სტალინის რაიონის 38 პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციაში უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში არც ერთი კაცი არ მიუღიათ.

მომხსენებელი ვრცლად ჩერდება სამეურნეო და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში კომკავშირელთა მონაწილეობაზე. ამ მხრივ თბილისის ორგანიზაციების უმრავლესობამ კარგად წარმართა მუშაობა; სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის, დეპოს და სხვ. საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციები აქტიურად ეხმარებიან პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს სტახანოვური მოძრაობისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლაში, ახალგაზრდობას მტკიცედ რაზმავენ საწარმოო გეგმების შესრულების, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების საქმეში. მომხსენებელს მოჰყავს იმის მაგალითებიც, რომ ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაცია ჯერ კიდევ სათავეში ვერ ჩაუდგა ახალგაზრდობას შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების განუხრელად გატარებისათვის ბრძოლაში. მაგალითად, ტრამვაის მოძრაობის დარგში 12 კომკავშირელმა გააცდინა სამუშაო დღე. კომკავშირის კომიტეტმა მხოლოდ სამი გამცდენის საკითხი განიხილა.

ამხ. ცქიტიშვილი კონფერენციის ყურადღებას ამახვილებს კომკავშირული ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებზე და აღნიშნავს, რომ მთელ რიგ ხელმძღვანელ კომკავშირულ მუშაკებს, მაგალითად, ამხ. მოწერილიას, ფარულავას, ჩიტიძეს და სხვ. უკვე ძირითადად შესწავლილი აქვთ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“. იმ ორგანიზაციებში, რომელთა ხელმძღვანელები თვითონ არ ეუფლებიან ბოლშევიზმის ისტორიას, რიგითი კომკავშირელებიც არ ზრუნავენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე. თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის ყოფილი მდივანი ამხ. ა. ცქიტიშვილი სისტემატურად არ მუშაობდა ბოლშევიზმის დაუფლებაზე და ფაბრიკის კომკავშირელთა უმრავლესობაც პარტისტორიის პირველ სამ თავს არ გასცილებია.

ამხ. ცქიტიშვილი ლაპარაკობს აგრეთვე ახალგაზრდობის კულტურულ ზრდაზე და საყოფაცხოვრებო პირობებზე, სასკოლო და პიონერთა შორის მუშაობაზე, სტუდენტთა ახალგაზრდობაზე და განსაკუთრებით ჩერდება სამხედრო ფიზკულტურულ მუშაობის საკითხებზე. ამ მხრივ თბილისის კომკავშირულ ორგანიზაციას წარმატებებთან ერთად სერიოზული ნაკლოვანებებიც აქვს. მომხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა როგორც კომკავშირული ორგანიზაციების (ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა, სტომატოლოგიური ინსტიტუტი, მუსიკალური კომბინატი, წისქვილკომბინატი, კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა და სხვ.), ისე ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტისა და ზოგიერთი სპორტიული საზოგადოების ხელმძღვანელთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ამ მიმართულებით.

შემდეგ ამხ. ცქიტიშვილი ვრცლად ეხება საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კომკავშირული მუშაობის გარდაქმნის საკითხებს. იგი ლაპარაკობს აგრეთვე კომკავშირელთა საუკეთესო ნაწილის პარტიაში მიღებაზე. საანგარიშო პერიოდში კომკავშირის რაიკომებმა პარტიაში შესასვლელად რეკომენდაცია მისცა 7.659 კომკავშირელს. პარტრაიკომების მიერ პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულია 3.177 კომკავშირელი.

—კომკავშირის ძალისა და ძლიერების წყაროს, — ამბობს საანგარიშო მოხსენების დასასრულ ამხ. ცქიტიშვილი,—წარმოადგენს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობა. თბილისის კომკავშირული ორგანიზაცია გარემოცულია საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ყოველდღიური მზრუნველობითა და დახმარებით, ამიტომ აქვს მას მიღწევები, ამიტომ მოიპოვებს იგი უფრო მეტს წარმატებებს.

მომხსენებლის უკანასკნელ სიტყვებს: გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას! გაუმარჯოს დიდ **სტალინს!** — ხანგრძლივი მქუხარე ტაში ჰფარავს.

კონფერენცია ისმენს ამხ. შ. თევდორაძის მოხსენებას — სარევიზიო კომისიის ანგარიშს, რის შემდეგაც იწყება კამათი მოსმენილ მოხსენებათა გარშემო. სიტყვებით გამოსული ამხანაგები: კახელაშვილი („მკერავის“ № 2 ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი), შენგელია (საქ. ალკკ თბილისის ორგ. მოლოტოვის სახელობის რაიკომის მდივანი), ჩინჩალაძე (საორთქლმავლო დეპოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი) კომიშანი (საქ. ალკკ თბილისის ორგ. 26 კომისრის სახელობის რაიკომის კულტმასობრივი კომისიის თავმჯდომარე), გოგლიძე (საქ. ალკკ თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის მდივანი) ლაპარაკობენ უმთავრესად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების განხორციელებისა და კომკავშირული ახალგაზრდობის სამეურნეო-პოლიტიკური აქტივობის შესახებ.

კონფერენციის პირველი სხდომის დასასრულს დელეგატები უდიდესი ერთსულოვნებითა და აღფრთოვანებით იღებენ მისალმებას ხალხთა გენიალური ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი.**

კონფერენციის მეორე სხდომა შესდგება დღეს დილის 10 საათზე.

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ აღრიცხვას

კომუნისტების პირადი შემადგენლობის აღრიცხვის საქმეში ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას დღემდე არ დაუმყარებია ბოლშევიკური წესრიგი.

ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციას დღემდე არ მოუხსნია აღრიცხვიდან 49 კაცი, რომლებიც წასული არიან სხვა საწარმოებში. პარტბიუროს მდივანი ამხ. მღებრიშვილი გულგრილად ეკიდება კომუნისტების პირადი შემადგენლობის აღრიცხვას.

ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია უპასუხისმგებლობას იჩენს პარტიული კრების ოქმების გაფორმებისა და რაიკომებში მათი გადაგზავნის საქმეში.

ხალტურინის სახელობის არტელის პარტიულ ორგანიზაციას (26 კომისრის სახელობის რაიონი) წელს პარტიული კრების არც ერთი ოქმი არ გადაუგზავნია რაიკომისათვის. სადგურ ნავთლუღის სახანძრო რაზმის პარტიული ორგანიზაციაც (პარტბიუროს მდივანი ბ. ადამია) იშვიათად ჰგზავნის კრების ოქმებს რაიკომში (საქდესი).

○

სამხრეთ-ოსეთის კომკავშირის მე-17 საოლქო კონფერენცია

სტალინირი, 21 სექტემბერი (საქდესი). დღეს მუშაობა დაამთავრა სამხრეთ - ოსეთის კომკავშირის მე-17 საოლქო კონფერენციამ. საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კაბულოვმა, სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ—ამხ. ტიბილოვმა. კამათში გამოვიდა 27 კაცი.

კონფერენციამ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა. ორატორებმა აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ სუსტია პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა კომკავშირელთა შორის.

კონფერენციამ საოლქო კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

საოლქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა არჩეულია 9 წევრისა და 13 კანდიდატისაგან, სარევიზიო კომისია — 11 კაცისაგან. საქართველოს კომკავშირის მე-15 ყრილობაზე გასაგზავნად არჩეულია 28 დელეგატი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ცხოვრებაშვილი, პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვალიევი და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. დანელევიჩი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1) ესტატე ილარიონის-ძე **ჭოხონელიძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1936 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0718969 — სახელმწიფო სახსრების მითვისებისათვის. 2) შალვა ქიშვარდის-ძე **ჭანუყვაძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0930932—კოოპერატიული სახსრების მითვისებისათვის.

თბილისის თამბაქოს ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი ამხ. ს. იტრიევი (მარცხნივ) ესაუბრება ამხანაგებს (მარცხნიდან): კ. პარუნაკიანს, ა. ბერეზინერს, ე. მესხს, ი. მგებარიანს, ვ. ავაქოვს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლის შესახებ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ქართული კინოხელოვნების აღმავლობისათვის

(დისპუტი მწერალთა კავშირში)

არც ისე შორეულ წარსულში ქართულ კინოხელოვნებას მოწინავეთა შორის საპატიო ადგილი ეჭირა. მისი მხატვრული პროდუქცია საერთო სიყვარულითა და შეუნელებელი ინტერესით სარგებლობდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა შორის.

მას შემდეგ, რაც მუნჯი კინო ხმოვანმა შესცვალა, ქართული კინემატოგრაფია გარკვეულ სიძნელეებს წააწყდა, რომელთა გადალახვას დიდი დრო დასჭირდა. მისი პროდუქცია რაოდენობრივი მაჩვენებლების მხრივ შემცირდა, მაგრამ ეს არ მომხდარა ფილმების ხარისხობრივი გაუმჯობესების ხარჯზე, პირიქით, მათი იდეურ-მხატვრული დონე დადაბლდა. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ მ. ჭიაურელის შესანიშნავი ფილმი „დიადი განთიადი“, რომელმაც კიდევ უფრო ასწია საქართველოს კინოხელოვნების ავტორიტეტი, მაგრამ თბილისის კინოსტუდიამ ვერ შესძლო მიღწეული დონის დაცვა.

„დიადი განთიადის“ შემდეგ გამოშვებული პროდუქცია („სამშობლო“, „დაგვიანებული სასიძო“) არც მხატვრული, არც იდეური ღირსებებით არ უპასუხებს საბჭოთა მაყურებლის გაზრდილ კულტურულ-ესთეტიურ მოთხოვნებს, რის გამო მან მეტად მცირე ხანს დაჰყო ეკრანებზე. ამან ცხადჰყო ჩვენი კინოხელოვნების ჩამორჩენა საბჭოთა კინემატოგრაფიის საერთო იდეურ-მხატვრული ზრდისაგან.

სავსებით დროული იყო ამის გამო ის დისპუტი, რომელიც 19 და 20 სექტემბერს მიმდინარეობდა მწერალთა კავშირში ქართული კინოხელოვნების შემოქმედებითი მუშაობის საკითხებზე.

მომხსენებელმა ამხ. ბ. ჟღენტმა აღნიშნა, რომ ჩვენი კინოხელოვნება ვერ ასახავს საქართველოს სოციალისტურ თანამედროვეობას და მის სახელოვან ადამიანებს. ამის მიზეზია ის, რომ კინომუშაკები სუსტად იცნობენ თანამედროვე ცხოვრებას და ჯერ კიდევ საჭირო გულმოდგინებით ვერ იბრძვიან საბჭოთა კინოხელოვნების შთამგონებლის დიდი **სტალინის** იმ მითითების განხორციელებისათვის, რომელიც ყველა შემოქმედისაგან ცხოვრების ღრმა შესწავლასა და ცხოვრებისაგან სწავლას მოითხოვს. „სამშობლო“ და „დაგვიანებული სასიძო“ რეალისტურად ვერ ასახავენ ბედნიერ საკოლმეურნეო ყოფას. ამაში ბრალი მიუძღვით კინოდრამატურგებსაც. საქართველოს კინომრეწველობამ ვერ შექმნა კინოდრამატურგების სათანადო კადრები. არსებული ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად მომხსენებელმა საჭიროდ სცნო ქართველი საბჭოთა მწერლების აქტიური თანამშრომლობა კინოში.

კამათში გამოსულმა მწერლებმა და კინომუშაკებმა არ უარჰყვეს მომხსენებლის ძირითადი დებულებები.

რეჟ. კ. მიქაბერიძემ გაიზიარა ის შეფასება, რაც კრიტიკამ მისცა მის ფილმს—„დაგვიანებულ სასიძოს“, მაგრამ აღნიშნა, რომ ეს ფილმი თანამედროვე საბჭოთა კინოკომედიის განვითარების გზის ძიებას წარმოადგენს, რომელსაც, მისი აზრით, უსარგებლოდ არ ჩაუვლია.

დ. შენგელაიამ აღნიშნა, რომ კინოსტუდია სათანადოდ ვერ იყენებს მწერლებს. სცენარების მიღების საქმეში ადგილი აქვს დიდ გაჭიანურებას. ნაციონალური სცენარის საბოლოოდ მიღება კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტში სწყდება, სადაც ნაწარმოების ნაციონალურ თავისებურებებს ვერ იცნობენ.

რეჟ. ნ. შენგელაიამ სამართლიანად სცნო ის შეფასება, რაც კრიტიკამ მისცა განხილულ ფილმებს. მან აღნიშნა, რომ ხმოვანი კინოს შემოსვლისას ნაციონალურ კინემატოგრაფიაში წამოიჭრა სიძნელეები, რომლებიც ახლაც არ არიან დაძლეულნი. ნაციონალურ აქტიორულ კადრებს მუშაობა უხდებათ ორ ენაზე—ქართულსა და რუსულზე,—ორივე ენას კი სათანადოდ ვერ არიან დაუფლებულნი. კინომრეწველობაც საჭიროებს ტექნიკურ რეკონსტრუქციას. თანამედროვე თემებზე შექმნილი ფილმების სისუსტე ამჟღავნებს, რომ კინოდრამატურგებიცა და კინოხელოვანნიც საკმაოდ ვერ იცნობენ სოციალისტურ სინამდვილეს. მისი შესწავლა კი მოითხოვს როგორც მწერლის, ისე კინოხელოვანის შემოქმედებითი ლაბორატორიის გარდაქმნას.

კ. გამსახურდია შეეხო მწერლების კინოსთან თანამშრომლობის საკითხს.

პლ. კეშელავამ ილაპარაკა ქართველ მწერალთა და კინოხელოვანთა შეთანხმებული მუშაობისათვის საჭირო ორგანიზაციულ ღონისძიებებზე.

აკ. ბელიაშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა კინოსტუდიაში შეიქმნას მწერლებთან ჯანსაღი ურთიერთობის პირობები. კინომუშაკები მეტი გულისყურით უნდა მოეპყრნენ სცენარისტების მუშაობას. ხასიათებისა და ეპიზოდების თვითნებური შეცვლა ამცირებს ნაწარმოების ხარისხს.

თბილისის კინოსტუდიის დირექტორი ამხ. ა. გიგოშვილი ვრცლად შეჩერდა იმ რთულ პირობებზე, რომლებშიაც უკანასკნელი წლების განმავლობაში მუშაობა უხდებოდა ქართულ კინოხელოვნებას. იმისათვის, რომ ქართული კინო მოწინავეთა რიგებში ჩადგეს, კინომუშაკებმა და მწერლებმა უნდა შეასრულონ ის მითითებები, რაც ამხანაგმა **ლ. ბერიამ** ჯერ კიდევ 1938 წლის მაისში მოგვცა. შემოქმედებითი დისპუტების მოწყობა მომავალში დიდ დახმარებას გაუწევს თბილისის კინოსტუდიას თავის მუშაობაში.

დასასრულ დისპუტის შედეგთა შეჯამებით გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის პ.-მგ. მდივანი ამხ. ირ. აბაშიძე, რომელმაც ილაპარაკა იმ დიდი და საპასუხისმგებლო როლის შესახებ, რაც ჩვენს მოწინავე საბჭოთა მწერლობას აკისრია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ქართული კინოხელოვნების ჩამორჩენის ლიკვიდაციას.

დისპუტს დაესწრო საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. ილ. თავაძე.

სიკო ფაშალიშვილი

ზეზვაის სამშობლოში

(მთათუშეთი—თვალის გადავლებით)

ჩავათავეთ ზვავებიანი დაღმართები. ბარის საქართველო კავკასიონის გადაღმა დარჩა და ჩვენ, მის ჩრდილოეთით მდებარე ქვაბურში მოვექეცით. ეს არის მთათუშეთი — ჩვენი ქვეყნის უმშვენიერესი ნაწილი, ვაჟკაცობითა და ცხვარბარაქიანობით განთქმული კუთხე.

თითქო ახალი სამყარო დაიბადა თვალწინ. ბუნების სილამაზისა და ძლიერების მძაფრი კონტრასტები ატყვევებენ გონებას და უნებურად გიკვირთ, გულიც მოგდით, რომ აქამდე არ იცნობდით საქართველოს ამ ძვირფას მარგალიტს.

ერთი ახირებული სენი გვჭირს ბარელ მწიგნობრებს: მთის ყოფა-ცხოვრება მუდამ რომანტიული გაზვიადებითა გვაქვს წარმოდგენილი; გვგონია, რომ მთა—ეს ეგზოტიკაა მხოლოდ. კერძოდ, თუშეთი ჩვენ ვიცით, როგორც მეცხვარეების კუთხე და ეპიური გმირის—ზეზვაის სამშობლო—ვაჟა-ფშაველამ რომ უკვდავჰყო „ბახტრიონში“. ამ კუთხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა კი მაინცდამაინც არ მიგვაჩნია სავალდებულოდ. ამ ხარვეზის შევსების თვალსაზრისით, დიდი ამაგი აქვს გაწეული მხოლოდ მხარეთმსწავლელს ს. მაკალათიას, რომლის სამეცნიერო ნაკვლევი უადვილებს კაცს ამ კუთხის გაცნობას.

მთათუშეთი ჩვენი ალპების კალთაში ჩამჯდარი კუთხეა. იგი მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა, მთაგორებიან ტაფობში, რომელიც აღმოსავლეთით დაღესტანს ესაზღვრება, ჩრდილოეთით — ქისტეთს, დასავლეთით — ფშავ-ხევსურეთს, ხოლო სამხრეთით — კახეთს.

შიგნით, თუშეთს ორად ჰყოფს მაღალი მთების გრეხილი. ორი მხრიდან ქამარივით არტყია ბობოქარი მდინარეები, გომეწრისა და პირიქითის ალაზნები. ეს ორი ალაზანი საქართველოს ბარში არ ჩამოდის — თუშეთის გასაყარზე ერთდება და ანდაქის ყოი-სუს სახელწოდებით დაღესტანს გადადის, შემდეგ კი-ავარიის გადასჭრის და კასპიის ზღვის აუზში ვარდება. ფერდობებზე შეფენილ თუშეთის სოფლებს გარს აკრავს ფიჭვნარის ხშირი ტყეები, მთაგორიანი საძოვრები, საძნავი კორდები — ურთვალავი წყაროებითა და ჩანჩქერებით, მდიდარი ალპური და სუბალპური ფლორა-ფაუნით.

გეოგრაფიული პირობების გამო, მთათუშეთს ძველთაგანვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია: აქ თავს აფარებდნენ ფეოდალური წყობილებით უკმაყოფილო პროტესტანტები, ბატონობის უღლისაგან გაქცეული ყმები და მესისხლეობისაგან დევნილნი. ისე, რომ ძველ თუშეთში, მკვიდრ მოსახლეობას გარდა, ხდებოდა სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა იმიგრაციაც. ამით აიხსნება, რომ დღეს თუშებში შეხვდებით ბევრ ისეთ „შემომატებულ“ გვარებს, რომელთა ძირითადი შტო კახეთში, ქართლში, თუ იმერეთ-გურიაში მოსახლეობს.

ამავე გეოგრაფიული საზოგადოებრივი მიზეზების გამო, ისტორია გარკვეულ როლს აკისრებდა თუშეთს ქვეყნის თავდაცვის საქმეში: საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ამ კუთხით ემუქრებოდა მტერი და გულადი თუშებიც სამშობლოს წინაშე მუდამ პირნათლად იხდიდნენ თავის წმინდა მოვალეობას. ხაზარებთან და შემდეგში სხვა რელიგიურ-პოლიტიკურ მტრებთან ბრძოლაში ბევრჯერ მთავარ დასაყრდენ სტრატეგიულ კუთხესაც შეადგენდა თუშეთი. ისტორიული ამბავია, მაგალითად, მე-17 საუკუნეში ბახტრიონის ციხის აღების დროს, თუშების სამაგალითო ვაჟკაცობა, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს საქართველოდან სპარსთა ურდოების განდევნასა და განადგურებაში.

მეფე ერეკლეც ხომ თუშებს, ფშავხევსურებთან ერთად თავისი ლაშქრის ბურჯად სთვლიდა ყოველთვის.

მე-16 საუკუნემდე თუშები მხოლოდ მთის მცხოვრებნი იყვნენ. აქ ეწეოდნენ ისინი სამაგალითო მეურნეობას — მესაქონლეობას და, განსაკუთრებით მეცხვარეობას, რითაც ისტორიული დამსახურება დაიმკვიდრეს ჩვენს ქვეყანაში. გეოგრაფ ვახუშტის ცნობით, მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში ლევან მეფემ თუშებს კარი გაუღო ბარისაკენ; მათ სამკვიდრებლად მისცა (ლაშარის ჯვარის შეწირა) ალონის, ანუ ალვანის ველები, რომლებიც საუკეთესო ადგილად ითვლებოდა ბარის საძოვრებისათვის და სამოსახლოდ. ამის შემდეგ თუშები მომთაბარენი გახდნენ. ბარში გადმოსახლებამ მათს კულტურულ დაწინაურებაზე დიდი გავლენა იქონია და, უნდა ითქვას, რომ თუშები, საქართველოს მთიანი კუთხეების მცხოვრებთა შორის მუდამ ყველაზე წინ იდგნენ კულტურითაც და შეძლებითაც.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი სრული გარდატეხა მოხდა თუში ხალხის კულტურული დონის ამაღლების საქმეში: ზემო და ქვემო ალვანმა შეიცვალა სახე. ახალი შენობებით, კულტურული დაწესებულებებითა და სკოლებით მოიფინა ეს სოფლები. განსაკუთრებით შეიცვალა ზემო ალვანი, რომელიც დღეს ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილს წარმოადგენს.

○

მაგრამ მთათუშეთი მაინც სულ სხვაა. იგი რაღაც თავისებური, გაორებული ცხოვრებით ცხოვრობს: უცნაურად ათავსებს ძველ ადათებს ახალ საზოგადოებრივ ყოფასთან და ხშირად, თემურ-გვაროვნული და წარმართული ჩვევების რეციდივებსაც ამჟღავნებს.

ეს გაორება თვით სოფლების გარეგნობაშიც მოსჩანს: ლიბო-დაძრული, ხავსმოდებული უძველესი ციხე-კოშკები და მათ გვერდით კი-სამსართულიანი სახლები, უმთავრესად ქალაქურად გაწყობილი ოთახებით, ირმის რქებით შემკული სასახატე ნიშები, სათემო სალუდეები, „საჯაროები“, „საფეხნობები“ და იქვე, აივანზე წიგნები და გაზეთები. ერთის სიტყვით, რაღაც ახირებულად შეკოწიწებული „ჰარმონიულობა“.

ისტორიის დიდ ქარტეხილთა ბეჭედი აზის აქაურ ძველ შენობებს: სოფლებს ვერ ნახავთ, რომ მის შუაგულში რამდენიმე ციხე-კოშკი არ იყოს. მათი სტრატეგიულ-არქიტექტურული სიმკვიდრე გაოცებას იწვევს მნახველში. ისინი გმირული ბრძოლების შესახებ შექმნილი ლეგენდებითა და სიმღერებით არიან გარემოცულნი. განსაკუთრებით შესანიშნავია სოფელ ომალოს ციხე, რომელიც თავისი მდებარეობით გასაოცრად ჰგავს გორის ციხეს — ოღონდ მინიატურულად. ეს ციხე ხუთი დამოუკიდებელი საბრძოლო კოშკისაგან შესდგება, რომლებიც ერთმანეთთან საფორტიფიკაციო ყაიდაზე ნაგები გალავნით ყოფილა შეერთებული. მას მრისხანე შეხედულება აქვს და, ცხადია, თავისი დიდი წარსულიც. ეს ციხე, ჩვენი მატერიალური კულტურის თვალსაზრისით ისეთ შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს, რომ მისი შემდგომი დანგრევისაგან დაცვა ცუდი არ იქნებოდა.

აქ შენობები—ძველიც და ახალიც, მხოლოდ ნაპობი ქვისაგან არის ნაგები. არც კირი, არც სხვა რამ შემწებებელი მასალა არ იხმარება აქ კედლების ასაგებად—მხოლოდ ქვა იწყობა ოსტატურად და ასე შენდება ათასი წლობით გამძლე სახლები. მაღლაც მხოლოდ ქვა ჰხურავს შენობებს. წყალი არ ჩამოდის და სიცხე-სიცივეც ადვილად არ უშვებს.

მართალია, ეს ქვის ფერი რაღაც მრისხანე მოღუშულობის ელფერსა სდებს სოფელს, მაგრამ სამაგიეროდ სახლების მოწყობილობა იმდენად კულტურულია, რომ საერთოდ, მაინც მოსაწონი და საინტერესოა ის. თითქმის ყოველ სახლში ცალკე გამოყოფილია სტუმრის ოთახი გრძელი ტახტით, რომელზედაც გადაფარებულია ოჯახის დიასახლისის მიერ მოქსოვილი ხალიჩა თუ ფარდაგი, დგას მაგიდა, არის სუფთა ლოგინი, განჯინაწალოები, ცალკეა საყოველდღეურო საცხოვრებელი, თუ სამეურნეო კუთხეები — სახლობ-სამზარეულო, საკუჭნაო, ბაშტე (სარდაფი), ან ბოსელი.

ყალბია ბარელების წარმოდგენა, თითქოს თუშები ბოსლებში, საქონელთან ერთად ცხოვრობდნენ.

ენის შესახებაც არა გვაქვს ბარელებს სწორი წარმოდგენა: თუშები ლაპარაკობენ წმინდა ქართულს, ოღონდ არის თავისებური კუთხური დიალექტი, რაც უფრო ბგერითი მახვილის თავისებურობაში გამოიხატება. ეს თავისებურობა, განსაკუთრებით ქალების ლაპარაკში ისმის. თუში ქალების ლაპარაკის მოსმენა პირდაპირ სასიამოვნოა: თავისებურად, მოღუღუნე რეჩიტატივით საუბრობენ ისინი. მაგრამ თუშების ლექსიკონში ბევრია შერჩენილი არქაული მასალა და ფილოლოგიურად მეტად საგულისხმო ტერმინები, რომლებიც დასავლეთ საქართველოში უფრო იხმარება და აქაურ ენობრივ მასალაში გეოგრაფიული გავლენით არ შეიძლებოდა შემოსულიყო.

მეორე და მნიშვნელოვანი ის არის, რომ თუშები, ეროვნული შთამომავლობის თვალსაზრისით წარმოადგენენ ორ შტოს—წოვა-თუშებს და ჩაღმა-თუშებს. ჩაღმები—მკვიდრი ქართველების შტოა, წოვები კი—წარმომდგარან საურმაგ მეფის მიერ საქართველოში გადმოსახლებულ ძურძუკებისაგან, ე. ი. დღევანდელი ქისტ-ჩეჩნების წინაპრებისაგან, რომელნიც ღლიღვებად იწოდებიან. წოვებს ქართული ენის შეთვისებასთან ერთად, ღლიღვური ენაც შეუნარჩუნებიათ და დღესაც ერთმანეთში ამ ენაზე ლაპარაკობენ. რა თქმა უნდა, ეს სრულებით არ უშლის იმას, რომ წოვებმა წმინდა ქართული ჩასთვალონ საერთო, მშობლიურ ენად. თუშებში წოვები უფრო მოწინავენი არიან კულტურულად და სწავლა-განათლებასაც მეტად მისდევენ.

○

ოჯახური ადათ-წესების თავისებურობასთან ერთად, თვალში გეცემათ თუშების იშვიათი სტუმართმოყვარეობა, გულუხვობა და ერთურთის ჭირ-ლხინის გაზიარების საქმეში გასაოცარი გულისხმიერება. მათი ეს თვისება გამოხატულია უძველეს საზოგადოებრივ ყოფითი ადათებში, რასაც მთათუშეთში დღესაც გულმოდგინედ იცავენ. რა თქმა უნდა, ამ ადათების ის ნაწილი, რაც სტუმართმოყვარეობისა და ერთურთისადმი თანაგრძნობით არის ნაკარნახევი, ყოველთვის მისასალმებელია, მაგრამ მისი პრაქტიკულად განხორციელების ზოგიერთი ფორმა თანამედროვეობასთან უკვე შეუსაბამოა.

ავიღოთ, მაგალითად, მიცვალებულის დატირების წესი:

კაცი მოკვდა და ოჯახს ბურჯი გამოეცალა. მისი დაკრძალვა შედარებით ნაკლებ ხარჯებს იწვევს, მაგრამ წლისთავის აღნიშვნა — „წლის ალუდობა“ მძიმე ტვირთად აწვება ოჯახს და ეკონომიურად ანადგურებს: უნდა დაიკლას ორი, ან ერთი ძროხა, 10-12 ცხვარი, 50-80 ჩაფი ლუდი უნდა გამოიხადოს, 10-15 ჩაფი არაყი, უნდა გამოცხვეს მრავალი ოცეული კოტორი (ხაჭაპურის მაგვარია), დიდძალი პური, დაიჭრას რამდენიმე კვერი ყველი, მომზადდეს საჩუქარ-საწირავები.

ყველაფერი ეს იმიტომ არის საჭირო, რომ წესით—„ჭირის პატრონმა“, მთელი სოფელი ან რამდენიმე სოფელი მთლიანად უნდა დაჰპატიჟოს—დიდ-პატარიანად. სამისოდ სპეციალურად იგზავნებიან გამოცდილი მოპატიჟენი, რომელნიც სოფლის „საჯაროზე“ შედგებიან და მთელ სოფელს გადასძახებენ:

— ჰაუ, გესმოდეთა, ბოჭორმელებო, (სოფლის სახელს იტყვის),—დოჭოელ ნაცვალაიძე ბაგრატო გატყობინებთა: ჭირ მაქვ სახლჩიაო, სანუგეშოდ მახვიდოდეთ— ქალკაციანათაო, თქვენი სტუმრებითაო, ჯამ-კოვზებ თან წამოიღოდეთ, ნუ დაგვალონებთაო.

დანიშნულ დღეს „ჭირის პატრონის“ სახლში რამდენიმე ასი ქალ-კაცი მიდის. მახლობელნი კი დაუპატიჟებლად იწვევიან მას—შესაწევნელებით. მიცვალებულის ხსოვნის წესი მოითხოვს ჯერ „დალაობას“,—ეს არის წარმართული რიტუალი—გლოვის ზარით, რომელსაც 4-5 ცხენოსანი ასრულებს მიცვალებულის ნიშნის წინ.

„დალა“—ალბად, ძველი წარმართული ღმერთი უნდა იყოს, რომელსაც სვანები დალს უწოდებენ.

დალაობის შემდეგ, მიცვალებულის ხსოვნის აღსანიშნავად იმართება დოღი, რომელშიც 15-20-დან 40-მდე ცხენოსანი ღებულობს მონაწილეობას. დოღი ჯილდოების პრინციპზე იმართება, რასაც სოლ ცოტა—1000 მანეთამდე ფული, თუ სხვა რამ ნივთები სჭირდება. ამას გარდა, დოღში მონაწილე ცხენს აქვს „ჯამაგირი“ 40-30 მანეთის რაოდენობით დღეში. ცხენების დოღის შემდეგ კაცების „სადგინი“—(რბენა) იწყობა. იმავე ჯილდოს მიცემით და მთელი ეს ხარჯები „ჭირის პატრონის“ ოჯახს აწვება. შემდეგ იშლება სუფრები, იწყება სმა-ჭამა, თასებითა და ჯიხვის რქებით ლუდის, ხოლო ყანწებით—არაყის „ჩაღლევა“ და ეს საზოგადო სერობა გრძელდება მანამდე, ვიდრე ყველა წვეული, თუ გზად გამვლელ-გამომვლელი არ „ასრულდება“ ხორაგით, თუ სასმელით. ყველა ამის შემდეგ კი—სტუმრებს სახლში წასაღებად ურიგდებათ ლუდი, არაყი, ხორაგი და მარილი. მიცვალებულის ოჯახი „წასულის“ ხსოვნის აღსანიშნავად სათემოდ სწირავს რაიმე ძვირფას ნივთს, უმთავრესად სპილენძის სალუდე „საწდეს“.

საშუალოდ რომ გამოვითვალოთ, მთელი ეს ამბავი 10-15 ათასი მანეთი მაინც ჯდება და თუ „ჭირის პატრონის“ შეძლება ამ ხარჯებს ვერ გასწვდება, მას მახლობელნი აძლევენ „სანიჭარს“—დახმარებას.

ფართოა სამხიარულო წვეულებების მასშტაბიც: ნიშნობა-ქორწილში და, განსაკუთრებით, „ხატის დღეებში“ მთელი სოფლები იყრიან თავს. იმართება ცეკვა-თამაში, ჯირითი, ხალხური სპორტი. თუშები, როგორც კაცები, ისე ქალები აქ ახდენენ თავისი ნიჭისა და უნარის დემონსტრაციას, თქვენ ისმენთ მშვენიერ სიმღერებსა და ლექსებს, სიტყვის კენწლაობას, ფანდურ-გარმონის დაკვრას.

საინტერესო ის არის, რომ საკუთარი ლექსების გარდა, თუშების სიმღერაში შესულა ლიტერატურული ტექსტიც — განსაკუთრებით ბელადზე დაწერილი სიმღერის ტექსტი:

„მთებში ნაზარდო არწივო,
ალმას თვალებით ელავდი,
ფოლადო, დაუგრეხელო,
კაცო, მართალო ყელამდი,
[illegible] დიდი ხმებისა,
ერთი ხარ დიდი ბელადი“...

პოეტ გიორგი ლეონიძის ეს ლექსი გადაუტანიათ მათ თუშური ჰანგით და გარმონზე ამღერებენ:

„...გული სიმღერას შამამთხოვს,
შაირებს მივეძალები,
სამზეოს ამონაბეჭდულ
შენს სახელს ვენაცვალები —
დიდო ბელადო, სტალინო,
შენათ მოგვიპყრავ თვალები...“

ისმის ამავე ჰანგზე ჩანგურზე დანამღერი თუში მთქმელის დანო ნაცვალაიძის ლექსი.

აღსანიშნავია, რომ ხალხური ლექსებით, ემოციებით ყოველთვის მდიდარ თუშებს ჰანგების სიღარიბე ახასიათებთ: ისინი ყველაფერს ერთ კილოზე მღერიან — ზედმიწევნით იმ კილოზე, თბილისში გავრცელებული თუშური სიმღერა რომ არის: „შირაქში ერთმა მეცხვარემ...“ კიდევ ერთი გარემოება იპყრობს ყურადღებას: თუშებში როგორც დასაკრავი ინსტრუმენტი — დამკვიდრებულა გარმონი ჩანგურს, როგორც ხალხურ საკრავს, ხშირ შემთხვევაში ვეღარც კი ვხვდებით. ეს ურბანისტული ცვლილება ბარს შეუტანია მთებში.

○

ცქრიალა გოგონა, ალვანელი მოწაფე, პიონერი ჩოგანაძე აივანზე ზის, წინდას ჰქსოვს და ღიღინებს:

„იმ შენი მშობლის ჭირიმე
ვინაც გიმღერა ნანაო“.

— ანეტო, შენ თურმე ბევრი ზღაპრები გცოდნია,—ვეუბნები მას.

— ვინად გითხრ?

— გივარგიმა.

— მართალ უთქომ, ბევრ ვიც, ამირანისაც ვიც, მზეთუნახავისაც, ძია ლენინზედ ხელმწიფის ტახტ რო გატეხა—ისიც.

— მაშ მიამბე.

— არ მწადის.

— რატომ? !

— იმად რო დღეა და მე ქალაი ვარ.

— დღე და ქალი რა შუაშია?

— დღისით რომ ქალმ ზღაპარ თქვას, სახლჩი ეშმაკ დაბუდდების.

— რადა?

— იმად რო ქალაი ცოდვიანია.

— ვინ გითხრა?

— ბერდედამ მითხრ...

ამ ცქვიტი ბავშვის გულუბრყვილო სიტყვებში გამოთქმული აზრი საერთოდ ახასიათებს თუშების ქალისადმი დამოკიდებულებას: ძველი ჩამორჩენილობის ზოგიერთი ნაშთი აქ ჯერ კიდევ ძალაშია დარჩენილი. კერძოდ, ქალის მიმართ დამკვიდრებული ცრუმორწმუნეობა ხშირად უხეშად მჟღავნდება. ძველად თუშის ქალს უფლება ჰქონდა აყრილი — მშობიარობის დროს მას საბძელში შეაგდებდნენ, ზოგიერთი ავადმყოფობის შემთხვევაშიც სახლიდან აძევებდნენ, როგორც უწმინდურს, ხატის ნიშთან აკრძალული ჰქონდა მისვლა, „ცოდვიანად“ იყო აღიარებული.

ეს სულელური ცრუმორწმუნეობა მოსპო ახალმა ცხოვრებამ, მაგრამ ზოგჯერ ძველი სიმახინჯე კვლავ ამოიტივტივებს ხოლმე: მაგალითად, დღესაც კი თუშეთში სახატე ნიშთან ქალს არ შეუძლია მისვლა: „თემ გაჯავრდების, ხატ ბატონ იწყენსა“.

ეს მაშინ, როცა „ხატ-ბატონს“ თავისითავი გასჭირებია; კუნჭულში აჩუჩულავებულ ყორეზე მის პატივსაცემად ჩარჭობილ ირმის რქებს ხავსი და ობი მოჰკიდებია. თუშის ქალი კი—როგორც ახალი ძალა, ჯანსაღი სიცოცხლით ავსებს საზოგადოებრივ ცხოვრებას. ისიც უნდა ითქვას, რომ თუში ქალისთანა გამრჯელი და უნარიანი ქალი ძნელად წარმოსადგენია: მათ აწევთ მთელი ოჯახის მეურნეობა და ისეთი მძიმე საქმეც კი, როგორიცაა სამკალ-სათიბი, დაფქვა, შეშის ჭრა და სხვა მრავალი. ყველა ამასთან წარმატებით ათავსებენ ისინი შესანიშნავ ხელსაქმეს—ხალიჩ-ფარდაგის, წინდა-ჩითას, საყაჯრის და ზედჩასაცმელების ქსოვას, რაც განთქმულია მთელ კუთხეში. თუში ქალი მოკრძალებულია, სუფთა, თავაზიანი, ოჯახის ერთგული და მორჩილი. ალბად ამ მორჩილებით აიხსნება, რომ ის დღესაც ზოგჯერ ადვილად შერიგებია დრომოჭმულ ცრუმორწმუნოებრივ შეზღუდვას.

ამ ნაკლის აღნიშვნით, ამ კუთხის ადათების აუგად ხსენება კი არ მინდა, არამედ იმის თქმა, რომ ზოგი რამ, რასაც მოუჭამია თავისი დრო და ახლა მხოლოდ ამახინჯებს კულტურულ ცხოვრებას დროზე უნდა დავინახოთ და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ამ კუთხეში უფრო ღრმად შეიჭრას გათვითცნობიერება.

○

ძველი ცხოვრების გადანაშთები იმდენად უფრო საჩოთიროდ გვეჩვენება, რამდენადაც მას ახალი ცხოვრების ფონზე ვხედავთ. ახალი ცხოვრება, ახალი კულტურა, საბჭოთა საზოგადოებრივი ყოფა კი—უკვე მტკიცედ არის მთათუშეთში დამკვიდრებული. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ გასტეხა ამ კუთხის კარჩაკეტილობა და მას ფართო გზა გაუხსნა კულტურულად დაწინაურებისაკენ.

დღეს მთათუშეთში გახსნილია 10 დაწყებითი სკოლა. ეს იმ სოფლებისათვის, რომელნიც მომთაბარეობას არ ეწევიან და ზამთარშიც მთაში ცხოვრობენ. (დიკლო, შენაქო, ქუმელაურთა, ხისო, ჩიგლაურთა, ჩილო, ჯვარბოსელი და სხვ.). ამას გარდა, მთათუშეთის ადმინისტრატიულ ცენტრში, სოფელ ომალოში დაარსებულია: ინტერნატი — საშუალო სკოლის კურსით, რომელშიც მოწაფეები ღებულობენ აგრეთვე ბინას და საჭმელს. აქვე არსებობს საავადმყოფო — სტაციონარით, არის ბიბლიოთეკა-სამკითხველოც.

აღსანიშნავია, ისიც რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ზაფხულობით მთათუშეთში იგზავნებოდა კულტურულ მუშაკთა ბრიგადები, რომელნიც მუშაობდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად. თუშეთში მტკიცე საფუძველზე შენდება საკოლმეურნეო წყობილება, რასაც სოციალისტური შრომის უპირატესობის შეგნება შეუტანია მოსახლეობაში.

ამჟამად კი, როგორც წინა წერილშიც აღვნიშნეთ, მთათუშეთის ცხოვრებაში ხდება უდიდესი ამბავი: თუშეთში შედის გზა. უგზოობა იყო ამ კუთხის ჩამორჩენილობის მთავარი მიზეზი, გზა უნდა გახდეს მისი კულტურული აღორძინების ერთერთი თვალსაჩინო საბაბი. და როდესაც მთათუშეთში მანქანა ავა, ეს მშვენიერი კუთხე უნდა ჩავთვალოთ, როგორც ნაპოვნი მარგალიტი.

კულტურული მშენებლობის დარგში შემჩნეული ზოგიერთი ნაკლიც უნდა აღვნიშნო. პირველ რიგში ფოსტა-ტელეგრაფის უქონლობა: თუშეთი ამ მხრივ მთლიანად მოწყვეტილია ბარს არა მარტო სუსხიან ზამთარში, არამედ ზაფხულობითაც. ეს დიდი ნაკლია, მაგრამ ფოსტის მოსაწყობად ჯერ არ გადადგმულა პრაქტიკული ნაბიჯი. ვფიქრობ, რომ ეს დაბრკოლება არც ისე ძნელი დასაძლევია. მაგალითად, ტელეგრაფის ხაზს თოვლზვავი შეაფერხებს, მაგრამ რატომ არ შეიძლება თუშეთში რადიო-გადამცემ-მიმღებ სადგურის მოწყობა?

ამ ვეებერთელა კუთხეში არ არსებობს თეატრი, ან კლუბი. ხანდახან ინტერნატის მუშაკები ადგილობრივი ახალგაზრდობის დახმარებით აწყობენ ხოლმე წარმოდგენას, რის მიმართაც უდიდეს ინტერესს იჩენს ხალხი. მარტო ეს ფაქტიც მოწმობს, თუ რამდენად მომწიფებულია აქ თეატრის დაარსების საკითხი. ბოლოსდაბოლოს რატომ არ შეიძლება იმის მოხერხება მაინც რომ აქ მოძრავი კინო ამუშავდეს?

მკურნალობის საქმე მოითხოვს კიდევ უფრო გაფართოებას. ომალოს საავადმყოფო ცუდ დახმარებას არ უწევს მოსახლეობას, მაგრამ აქაური სოფლების რადიუსი ისეთია, რომ შორს მცხოვრებნი ყოველთვის ვერ სარგებლობენ საჭირო მკურნალობით და წამალს — ექიმბაშის შელოცვა სცვლის.

მართალია, ზაფხულობით აქ ხშირად ამოდის თუშების „ზალი“ — (რძალი), გამოცდილი ექიმი ქალი ელ. ეფრემიძე, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, მაგრამ ეს მხოლოდ დროებით, ზაფხულობით. კარგი იქნება, რომ ზამთრობით მოძრავი საფერშლო პუნქტი მაინც მოეწყოს მთათუშეთში.

უფრო მოკლედ: მთათუშეთში დაწყებული დიდი კულტურული გარდატეხა კიდევ უფრო დიდ ზრუნვასა და გულისხმიერებას მოითხოვს.

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის პრესა ავიაციის მოქმედების შესახებ

ბერლინი, 20 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის პრესა კვლავ კომენტარებს უკეთებს ავიაციის მოქმედებას ინგლისის დედაქალაქის წინააღმდეგ. „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" სწერს, რომ 17 სექტემბერს ლონდონში 8-ჯერ გამოცხადდა საჰაერო განგაში. ინგლისის საზენიტო არტილერიის ძლიერმა გადამღობმა ცეცხლმა ხელი ვერ შეუშალა გერმანიის ყუმბარმშენთა შეჭრას ლონდონის ცენტრში. ნეიტრალურ მეთვალყურეთა ცნობით, 18 სექტემბერს ნაშუადღევს ინგლისის სანაპირო გადალახა გერმანიის 500 თვითმფრინავმა. განსაკუთრებით გაფთრებული ბომბარდირება განიცადა 18 სექტემბერს ლონდონის დასავლეთმა ნაწილმა. საგრძნობლად დაზიანებულია შენობები და წყალსადენი.

ნახევრადოფიციალური ბიულეტენი „დინსტ აუს დოიჩლანდი" აღნიშნავს, რომ ოპერაციები ლონდონის წინააღმდეგ უფროდაუფრო ძლიერდება. გერმანიის თვითმფრინავები ზემძიმე ყუმბარებს უშენენ ქალაქს. თვენახევრის განმავლობაში ინგლისის ავიაციამ 2 ათასზე მეტი თვითმფრინავი დაჰკარგა. დიდ მნიშვნელობას აძლევენ გლაზგოს ბომბარდირებას, სადაც თავმოყრილია ინგლისის მთელი სავაჭრო ფლოტის დაახლოებით ერთი მესამედი. გარდა ამისა, გლაზგოს დიდი სამხედრო მნიშვნელობა აქვს, რადგან იქ თავმოყრილია მნიშვნელოვანი გემსაშენები და დოკები.

ბიულეტენი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არც ინგლისის ავიაცია სწყვეტს მოქმედებას გერმანიის ქალაქების წინააღმდეგ. 17 სექტემბერს ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა კვლავ დაუშინეს ყუმბარები ჰამბურგს, ბრემენს, გამსა და გერმანიის სხვა ქალაქებს.

საჰაერო ბრძოლა ლონდონში

ბერლინი, 20 სექტემბერი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, დღეს გერმანიის თვითმფრინავები განაგრძობდნენ თავიანთ ოპერაციებს ინგლისის წინააღმდეგ. დღისით ამინდი ცოტა გაუმჯობესდა. მიღებული ცნობების თანახმად, ლონდონში გამართული საჰაერო ბრძოლის დროს გერმანიის ავიაგამანადგურებლებმა ინგლისის 12 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. გერმანიის ერთი თვითმფრინავი უკვალოდ დაიკარგა.

„ნიუს ქრონიკლი" ინგლისის ავიაციის მოქმედების შესახებ

ლონდონი, 20 სექტემბერი (საკდესი). ინგლისური გაზეთების კორესპონდენტები დუვრიდან იუწყებიან დაწვრილებით ცნობებს ინგლისის ავიაციის უკანასკნელ ღამის თავდასხმების შესახებ გერმანიის ბაზებზე, რომლებიც საფრანგეთის სანაპიროზე მდებარეობენ კალესა და ბულონის რაიონში.

„ნიუს ქრონიკლის" კორესპონდენტი სწერს, რომ იმ ოპერაციებში, რომლებიც გერმანიის ბაზების წინააღმდეგ მოეწყო ლა-მანშის სანაპიროზე 17 და 18 სექტემბერს ღამით, მონაწილეობა მიიღეს ინგლისის ყუმბარმშენი ავიაციის უდიდესმა ძალებმა. გერმანიის კონტროლქვეშ მყოფ ლა-მანშის ნავსადგურებზე უკანასკნელი ორი ღამის თავდასხმა, თვითმფრინავების რაოდენობის მხრივ, უძლიერესი იყო ყველა იმ თავდასხმაზე, რომელიც აქამდე მოუხდენია ინგლისის ავიაციას. ინგლისის სანაპიროდან სჩანდა ლა-მანშის საფრანგეთის სანაპიროზე ბევრ ადგილას გაჩენილი დიდი ხანძარი და ისმოდა მეტად ძლიერი აფეთქების ხმა.

გერმანიის ახალი ტიპის ყუმბარები

ლონდონი, 20 სექტემბერი (საკდესი). გუშინ გაზეთმა „დეილი ექსპრესმა" მოათავსა ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ 18 სექტემბერს ღამით გერმანელებმა ახალი ტიპის დიდძალი ყუმბარა დააყარეს ლონდონს. ეს ყუმბარები საშინელი გრიალით აფეთქდა. მათი აფეთქებით გამოწვეული ალი 60-100 მეტრ სიმაღლეს აღწევდა; მაგრამ ამ ყუმბარებს დიდი ხანძარი არ გამოუწვევია. მნახველთა აზრით, ყუმბარები პარაშუტებიდან იყო გადმოსროლილი.

ხმები ინგლისისათვის ამერიკის წყალქვეშა ნავების გადაცემის შესახებ

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „პოსტ მერიდიემი" გადმოგვცემს ავტორიტეტული დიპლომატიური წრეებიდან მიღებულ ცნობას იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატების მთავრობა დადებითად ეკიდება წინადადებას ინგლისისათვის „მოძველებული" წყალქვეშა ნავების გადაცემის შესახებ.

მოკლე ცნობები

⊙ კანადამ ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლო მიზნებისათვის შეისყიდა 250 ტანკი.

⊙ ეკვადორის კაზადეროსის რაიონის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მთავრობას მიმართეს თხოვნით გაუგზავნოს ჯარი იმის გამო, რომ იქ პერუს ჯარი შეიჭრა. კაზადეროსს ერთმანეთს ედავებიან ეკვადორი და პერუ.

⊙ რუზველტმა მიიღო იაპონიის ელჩი ხორინოუჩი, რომელიც გამოსათხოვებლად ეწვია მას. 24 სექტემბერს ხორინოუჩი იაპონიას მიემგზავრება.

⊙ იაპონიის ტოხოკაის პარტიის ლიდერმა ნაკანომ, „დაინიხონ სეინენტოს" („იაპონიის ახალგაზრდათა პარტია") ხელმძღვანელმა პოლკოვნიკმა კინგორომ და „აღმოსავლეთ აზიის მშენებლობის ლიგის" თავმჯდომარემ ადმირალმა სუეცუგუმ დაშლილად გამოაცხადეს თავიანთი ორგანიზაცია.

⊙ როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რუმინეთის ყოფილი მეფე კაროლი ბარსელონას ჩავიდა ამალითურთ.

⊙ დომეი ცუსინის სააგენტოს ცნობით, ტოკიოში ძალიან გახშირდა ბოროტმოქმედების შემთხვევები. ყოველდღიურად 350-მდე ბოროტმოქმედება ხდება. ამა წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში ბოროტმოქმედების 77.454 შემთხვევა იყო.

⊙ რეიტერის სააგენტო ბუქარესტიდან იუწყება, რომ ინგლის-რუმინეთის ინსტიტუტის ადმინისტრაციას, რომელიც ინგლისელთაგან შესდგებოდა, წინადადება მიეცა დასტოვოს რუმინეთი. ინსტიტუტი უმთავრესად ინგლისურ ლიტერატურისა და ინგლისური ენის სწავლებას ეწეოდა. ინსტიტუტში 2.000-მდე კაცი სწავლობდა.

20 სექტემბერი (საკდესი).

რიბენტროპის და მუსოლინის მეორე საუბარი

რომი, 20 სექტემბერი (საკდესი). როგორც სტეფანის სააგენტო იუწყება, დღეს მუსოლინის მეორე საუბარი ჰქონდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ რიბენტროპთან. საუბარს, რომელიც ერთ საათს გაგრძელდა, ჩიანო დაესწრო.

ჩრდილოეთ აფრიკაზე იტალიის დიდი შეტევის მზადება

ვიში, 20 სექტემბერი (საკდესი). შვეიცარიის „გაზეტ დე ლოზანის" ეგვიპტელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იტალია ჩრდილოეთ აფრიკაში დიდი მასშტაბის სამხედრო ოპერაციების დასაწყებად ემზადება. დიდი გზა, რომელიც ლიბიის სანაპიროზე მიდის ტუნისის საზღვრიდან ეგვიპტის საზღვრამდე, სავსეა სამხედრო ეშელონებით. თავს უყრიან სურსათ-სანოვაგისა და სამხედრო საჭურვლის დიდ მარაგს. ჯარი, რომელიც ლიბიიდან ეგვიპტის საზღვრებისაკენ იგზავნება, დიდ სიძნელეებს ხვდება. ათასი კილომეტრის მანძილზე, თვით ნილოსის ველამდე, გადაშლილია ვრცელი, ძნელადგადასასვლელი უწყლო უდაბნო. კორესპონდენტის ცნობით, იტალიის ქვეითი ჯარი სპეციალურ საბარგო მანქანებით გადაჰყავთ. ასეულის გადასაყვანად რვა საბარგო მანქანაა საჭირო. ყოველ 50-60 კილომეტრზე საწვავის ბაზებს აგებენ. კორესპონდენტის აზრით, ეს ბაზები ჰაერიდან ბომბარდირების კარგ მიზანს წარმოადგენენ. ეგვიპტის რკინიგზის სამმართველოს ცნობით, კაიროდან უკვე ევაკუირებულია 2 ათას კაცზე მეტი. ვიშში არსებული ცნობების მიხედვით, ეგვიპტის წინააღმდეგ თავმოყრილი იტალიის ძალები ჯერჯერობით სჭარბობენ ინგლისის ძალებს. როგორც აღნიშნავენ, გერმანიის გადამწყვეტი შეტევის მოლოდინში, ინგლისელები თავიანთ ძირითად ძალებს უყრიან თავს ინგლისში. ფიქრობენ, რომ, თუ ეს შეტევა გაზაფხულისათვის იქნა გადადებული, მაშინ ინგლისის მნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ძალები შემოდგომის მიწურულში შევლენ ხმელთაშუა ზღვაში იმისათვის, რომ იტალიის ძალებს შეუტიონ.

საფრანგეთის თვითმფრინავები აღმოსავლეთ აფრიკაში

ლონდონი, 20 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ „ლონდონის ავტორიტეტული წრეების განცხადების თანახმად, გენერალ დე გოლის განკარგულებაში მყოფი საფრანგეთის ავიაციის შენაერთები, ინგლისის თვითმფრინავებთან ერთად აქტიურ ოპერაციებს ეწევიან აღმოსავლეთ აფრიკაში იტალიის წინააღმდეგ. 4 ფრანგი მფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სადაზვერვო გაფრენაში აბისინიაზე, უკვალოდ დაიკარგა".

პურის გაცემის ნორმის შემცირება ნორვეგიაში

ოსლო, 20 სექტემბერი (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ 1 ოქტომბრიდან მთელ ნორვეგიაში შემცირდება ბარათით პურის გაცემის ნორმა. 390 გრამის ნაცვლად ქალაქის მცხოვრებნი 325 გრამ პურს მიიღებენ ყოველდღიურად.

თბილისი. სასპორტო საზოგადოება „დინამოს" სრულიად - საკავშირო შეჯიბრება კალათბურთში. სურათზე: შეჯიბრების მონაწილენი (მარცხნიდან): ბაქოს ქალთა გუნდი, თამაშის მომენტი, მოსკოვის ქალთა გუნდი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

აფხაზეთის ქართული თეატრი მომავალი სეზონისათვის

სამი წლის განმავლობაში შეზრდილი და შემჭიდროვებული აფხაზეთის ქართული დრამის კოლექტივი ერთსულოვნობით შეუდგა 1940-41 წლის სეზონისათვის მზადებას.

წარსული წლების გამოცდილებამ და იმ წარმატებამ, რომელიც ჰქონდა აფხაზეთის ქართულ თეატრს ისეთი წარმოდგენების დადგმით, როგორიცაა შ. დადიანის „ნაპერწკლიდან", უ. შექსპირის „ოტელო", ლორკას „სისხლიანი ქორწილი" და სხვ., საბოლოოდ ჩამოაყალიბა ახალგაზრდა კოლექტივის მხატვრული სახე.

წარსული მუშაობის მიღწევებმა და შეცდომებმა ასწავლეს ქართულ დრამას, თუ როგორ წარმართოს თავისი მუშაობა, რომ საქართველოსა და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავს, საბჭოთა საქართველოს დანარჩენ თეატრებთან ერთად, წარმატებით და მიღწევებით შეხვდეს. აფხაზეთის თეატრში დავაჟკაცდნენ ახალგაზრდა მსახიობები — ლ. ჭედია, ირ. დონაური, მ. ჩუბინიძე, თ. მაკარაშვილი, გ. გაბუნია, მ. გაგნიძე, ნ. ყიფიანი, ჟ. ბოკუჩავა, ო. კანდელაკი, ტ. ხორავა, ბ. სვანი, ლ. ფოჩხუა და სხვანი. ეს კადრები საშუალებას გვაძლევენ რეპერტუარში შევიტანოთ მეტად საინტერესო და მაღალმხატვრული პიესები.

წელს განზრახულია 8 პიესის დადგმა.

საქართველოს ყველა თეატრები მოხიბლული არიან ისეთი ეჭვს გარეშეა საამაყო თემით, როგორიც არის ქართველი ხალხის საყვარელი გმირი დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. აფხაზეთის თეატრი გულგრილად ვერ აუვლიდა გვერდს ამ თემას და მისი ყურადღება შეჩერდა ს. შანშიაშვილის პიესაზე — „უგვირგვინო მეფენი".

პიესას დასდგამს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი სერგო ჭელიძე, მხატვრულად გააფორმებს დარეჯან ძნელაძე, მუსიკას ამზადებენ შალვა გორგაძე და ალექსი პოზდნეევი.

გიორგი სააკაძის როლს შეასრულებს მსახიობი მ. ჩუბინიძე, შადიმან ბარათაშვილისას — ლ. ჭედია, მეფე ლუარსაბისას — გ. გაბუნია, თეკლესას — ირინე დონაური, კახაბერ ხერხეულიძისას — ჟ. ბოკუჩავა, ზაზა ციციშვილისას — ტ. ხორავა.

პიესა ნაჩვენები იქნება ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

პარალელურად თეატრი ამზადებს ლ. ლევინის პიესას „ამბავი ქალზე". ეს პიესა გვიჩვენებს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს, მათ ზრდასა და ბრძოლას ჩვენი აღმავლობისათვის.

პიესის დადგმა დაკისრებული აქვს რეჟისორ ბ. სვანს, მხატვრული გაფორმება — დ. კვირიკაშვილს, მუსიკალური — ს. ელიანსონს.

მესამე პრემიერად თეატრი უჩვენებს პიესას აღმოსავლეთის პოპულარული გმირის — ხოჯა ნასრედინის შესახებ. წარმოდგენა განზრახულია დაიდგას როგორც მუსიკალური კომედია. ამის განხორციელება თეატრს გაბედვინა უ. ჰაჯიბეგოვის მუსიკალური კომედიის „არშინ მალ ალანის" წარმატებამ. მუსიკას სწერს კომპოზიტორი ალ. პოზდნეევი.

დეკემბერში ნაჩვენები იქნება ალ. დიუმას (შვილის) რომანტიკული დრამა „მარგარიტა გოთიე".

1941 წლის რეპერტუარში შეტანილია ალ. სუმბათაშვილის - იუჟინის პატრიოტული პიესა „ღალატი", რომელიც ნაჩვენები იქნება იანვარში.

სეზონის მთავარი ღერძია ქართველი ხალხის საიუბილეო წარმოდგენის შექმნა. ამ თემაზე თეატრთან შეთანხმებით მუშაობენ დრამატურგები — ნ. მიქავა და გ. გაბუნია. პირველი სწერს პიესას „უკვდავება", მეორე — „მზის ამოსვლის წინ".

სოხუმის გარდა, თეატრი მომსახურებას გაუწევს გუდაუთს, გაგრას, ოჩამჩირეს, გალსა და საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს. წარსული წლის პრაქტიკამ დაგვანახვა, თუ რა დიდ გამოხმაურებას და ინტერესს იწვევს ქართული თეატრის მუშაობა ამ რაიონებში. მიუხედავად მრავალი სიძნელისა, რომელიც თეატრს წინ ელობება, მისი მთელი კოლექტივი დარწმუნებულია, რომ მთავრობის, პარტიისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის დახმარებით აფხაზეთის თეატრი შესძლებს საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავს მხატვრული მიღწევებით შეხვდეს.

სერგო ჭელიძე

აფხაზეთის ქართული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

საზაფხულო ტურისტული სეზონის დამთავრება

უკვე დამთავრდა საზაფხულო ტურისტული სეზონი და დაიწყო ტურისტთა და ექსკურსანტთა ჯგუფების მოძრაობა საშემოდგომო ტურისტული მარშრუტებით. საზაფხულო სეზონის დამთავრების გამო მომავალ ზაფხულამდე დაიხურა — სვანეთის მარშრუტი (მაზერი-მესტია-ზუგდიდი), რაჭის მარშრუტი (მამისონი-შოვი-ქუთაისი), ე. წ. სამხრეთის მარშრუტი, რომელიც ჩრდილო კავკასიიდან გლუხორის უღელტეხილით გადმოდის აფხაზეთის სვანეთში და ახლო ხანში დაიხურება საქართველოს სამხედრო გზატკეცილის მარშრუტი.

საქართველოს ტურისტული მარშრუტებით გასული ზაფხულის განმავლობაში გაუვლია 30.000 ტურისტსა და ექსკურსანტს. ტურისტთა შორის უმეტესობას შეადგენდნენ საბჭოთა კავშირის შორეული კუთხეებიდან (შორეული აღმოსავლეთი, უკრაინა, რუსეთი, პოლარული ბასეინი, შუა აზია) ჩამოსულნი.

წელს პირველად ჩამოვიდნენ და საქართველოს ტურისტული მარშრუტებით გაიარეს დასავლეთ უკრაინიდან და დასავლეთ ბელორუსიიდან ჩამოსულებმა.

ახალი სავადმყოფო

ფოთი, (საქდესი). მთავრდება შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაო წყლოსანთა სავადმყოფოს ახალ შენობაში, რომელიც აგებულია რიონის ნაპირას, ნავსადგურში.

ახალი სავადმყოფო 1 ოქტომბერს გაიხსნება.

ა. ცხომელიძე—სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ამავე ინსტიტუტის ასპირანტმა ამხ. აკაკი ნიკიფორეს-ძე ცხომელიძემ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „გურჯაანის რაიონის შესწავლა მევენახეობის განვითარების თვალსაზრისით".

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ფარული კენჭისყრით ამხ. აკ. ცხომელიძეს მიაკუთვნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ერ. მახათაძე

ლექცია საერთაშორისო თემაზე

1940 წ. 23 სექტემბერს, საღ. 8 ს. და 30 წ., საქსახესტრადის შენობაში (პლეხანოვის პრ. № 123) შესდგება პროფ. **ფრიშენბერგის** ფასიანი ლექცია „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ".

ბილეთები იყიდება საქსახესტრადის სალაროში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის სტალინის რაიკომი.

კალათბურთი

სასპორტო საზოგადოება „დინამოს" სრულიად-საკავშირო პირველობა

კიროვის სახელობის სასპორტო მოედანზე თბილისში სწარმოებს სასპორტო საზოგადოება „დინამოს" შეჯიბრება სრულიად-საკავშირო პირველობაზე კალათბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ: მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, ბაქო, თბილისი და სხვა ქალაქები.

შეჯიბრების პირველ დღეს შეხვდნენ ქალთა გუნდები. კიევმა მოუგო ბაქოს ანგარიშით 24:22, მოსკოვმა — სვერდლოვსკს 37:7, თბილისმა — სტალინგრადს 22:8.

შეჯიბრების მეორე დღეს ყველაზე უფრო საინტერესო იყო მოსკოვისა და თბილისის მამაკაცთა გუნდების შეხვედრა. მატჩი სწრაფი ტემპით განვითარდა. შედეგი გადასწყვიტა უკანასკნელმა ბურთმა, რომელიც მოსკოვის გუნდმა გაიტანა თამაშის უკანასკნელ წამებში. შეხვედრა დამთავრდა მოსკოვის მოგებით ანგარიშით 21:20. შემდეგ ლენინგრადმა მოუგო ხარკოვს (მამაკაცთა გუნდი), სვერდლოვსკმა—ბაქოს (ქალთა), კიევმა — სტალინგრადს (ქალთა). ქუთაისისა და ბაქოს მამაკაცთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა პირველის გამარჯვებით ანგარიშით 29:27. მოსკოვისა და თბილისის ქალთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა მოსკოვის მოგებით.

შეჯიბრების მესამე დღეს პირველად გამოვიდნენ მოსკოვისა და ბაქოს მამაკაცთა გუნდები. მოიგო პირველმა ანგარიშით 36:21. ბაქოს ქალთა გუნდმა მოუგო სტალინგრადს, ქუთაისმა წააგო ხარკოვთან (მამაკაცები), მოსკოვმა მოუგო კიევს (ქალები).

გადამწყვეტი შეხვედრა მოხდა 20 სექტემბერს. თამაშობდნენ თბილისისა და ლენინგრადის მამაკაცთა გუნდები. გაიმარჯვა ლენინგრადმა ანგარიშით 41:24. მოსკოვისა და ლენინგრადის მამაკაცთა გუნდების შეხვედრა გადასწყვეტს პირველობის საკითხს.

ვ. გინზბურგი

პარტკალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა 8 დღის ვადაში გამოცხადდნენ სააღრიცხვო სექტორში ამხ. სერედასთან ქვემოდასახელებული ამხანაგები:

მარია ეგორის-ასული მეზინოვა, ნატალია ანდრიას-ასული ივჩენკო, პროკოფი ლევანის-ძე გოლაშვილი, ტატიანა ტიმოთეს-ასული დმიტრიენკო, მიხეილ გრიგოლის-ძე პოლენოვი, თედორე ილიას-ძე პოილკინი, ანა მაქსიმეს-ასული ვდოვინა, სერგო პავლეს-ძე რატიანი, კიგან ტატევოსის-ძე სარქისოვი, ნიკოლოზ მარტინის-ძე სიმაროვი, სურენ ნიკოლოზის-ძე სამარჩიანი, ანტონინა ვასილის-ასული სტარკოვა, ვასილ ილიას-ძე საზიკინი, კასპარ მუშეგის-ძე სარქისიანი, ანასტასია ივანეს-ასული სმოლა. მარია ანტონის-ასული ტარასოვა, ანტონინა ივანეს-ასული ტრუშკოვა, რეზვაი კუზის-ძე უკაევი, ვლადიმერ სერგის-ძე პეტუხოვი, ეკატერინე მიხეილის-ასული ნაზაროვა, აბზარ გუსეინის-ძე კიაზიმოვი, მათე ვასილის-ძე მელნიკოვი, ვარძარე-ვარდკეს კარაპეტის-ძე—გერასიმეს-ძე კზარტმიანი, გიორგი თედორეს-ძე კეშიშევი, მინა ფლორის-ძე კოზლოვი.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — დღისით „წითელ ქუდა" (მე-4 აბ.), საღამოს—„წითელ ქუდა" (მე-8 აბ.), **გრიბოედოვის სახელობის** — „ერნანი" (აბონემენტის გარეშე).

კინოებში: რუსთაველის სახ. — „საყვარელი ქალიშვილი", **ოქტომბერი** — „დიდი ვალსი", **დამკვრელი** (ზამთრის და ზაფხულის) — „საყვარელი ქალიშვილი", **კომკავშირელი** (ზამთრის) — „უმაღლესი ჯილდო", **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „დუნაიზე", **ლუქსემბურგის სახ.**— „დუნაიზე", **კომინტერნი** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **26 კომ. სახ.** (ზამთრის) — „ბაქოელები", **26 კომ. სახ.** (ზაფხულის) — „ჯულბარსი", **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „ელისო", **განთიადი** — „მეგობრები ბანაკიდან", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „ჩვიდმეტი წლისანი", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „უკანასკნელი ჯვაროსნები", **წითელი არმიის სახლის პარკი** — „ასაი", **სტალინის სახ. პარკი** — „მშვენიერი ვასილისა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი
22 სექტემბერს
გიორგი სააკაძე
დასაწყისი 8 ს. 30 წ.
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დილის 12-დან საღ. 9 საათამდე.
აბონემენტების გაცემა გრძელდება.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი.
22 სექტემბერს სერია მე-4 აბ. 1 წარმ.
ანრი სეარ
24 სექტემბერს სერია მე-5 აბ. 1 წარ.
ბედნიერება
25 სექტემბერს სერია მე-13 აბ. 1 წარმ.
გიორგი სააკაძე
დასაწყისი 8 ს. 30 წ.

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-18-50

საზაფხულო თეატრი
22 სექტემბერს მე-5 აბ. მე-12 წარმ.
ქორნილი მალინოვკაში
23 სექტემბერს მე-2 აბ. მე-12 წარმ.
კორნევილის ზარები
დასაწყისი 9 საათზე.

ღია ესტრადა
22 სექტემბერს
ნიკოლოზ ბერეზოვსკის გასტროლები
თეატრი—ტრანსფორმაცია
დასაწყისი 9 ს. 30 წ.
შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.
ბაღში დაუკრავს ჯაზ-ორკესტრი

22 სექტემბერს პირველი დღის წარმოდგენა ბომათა ბარონი
დასაწყისი დღის 12 ს.

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახ. კომისარიატის
„გლავხიმსბიტის" თბილისის კანტორა
შეუდგა 1941 წლისათვის განაცხადების მიღებას ქიმიური მრეწველობის სახ. კომისარიატის ნომენკლატურის ქიმიური მრეწველობის პროდუქციაზე
(ძირითადი და აზოტოვანი ქიმია, ლაქ-საღებავების, ანილ - საღებავების, ხეტყექიმიური, პლასტმასა და რეზინის ნაკეთობანი).
განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადად დაწესებულია 1940 წლის 10 ოქტომბერი.
დაწესებულ ვადაზე გვიან და არა სათანადო ფორმით წარმოდგენილი განაცხადები მიღებული არ იქნება.
განაცხადები წარუდგინეთ და ყოველგვარი ცნობისათვის მიმართეთ „გლავხიმსბიტის" თბილისის კანტორას: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 2, ტელეფონი № 3-67-90.
1168

ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი აცხადებს, რომ სახელმწიფო გამოცდების საშემოდგომო სესია დანიშნულია 10-დან 30 ოქტომბრამდე.
დაინტერესებული პირნი ა. წ. 30 სექტემბრამდე უნდა გატარდნენ აღრიცხვაზე სათანადო ფაკულტეტების დეკანატში.
100
დირექცია.

საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი

სასკოლო საკანცელარიო ნივთების ფაბრიკა

ბალანსი 1940 წლის 1-ლ იანვრისათვის (ათას მან.)

(ძირითადი საქმიანობის)

აქტივი		პასივი	
1. ძირითადი საშუალებანი	580	1. საწესდებო ფონდი	872
2. მასალები, ნედლეული და სათბობი	340	2. სხვადასხვა ფონდები და რეზერვები	121
3. დაუმთავრებელი წარმოება	24	3. ანგარიშსწორებანი	33
4. მზა ნაწარმი და საქონელი	48	4. 1939 წლის მოგება	511
5. გადატვირთული საქონელი და შესრულებული სამუშაოები	85		
6. ფულადი სახსრები	129		
7. ანგარიშსწორებანი	45		
8. მომავალი პერიოდის ხარჯები	7		
9. განყენებული საშუალებანი	279		
ბალანსი...	1537	ბალანსი...	1537

1939 წლის მოგება-ზარალის ანგარიში (ათას მან.)

1. სხვადასხვა ზარალი	1	1. მოგება რეალიზაციისაგან	499
2. მოგების სალდო	511	2. სხვადასხვა დაგროვებანი	13
ბალანსი...	512	ბალანსი...	512

დირექტორი ი. ათანესოვი. **მთ. ბუღალტერი ი. მერაბოვი.**

ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში დამტკიცებულია საქ. სსრ ადგ მრეწვ. სახ. კომისარიატის მიერ (დადგენილების ოქმი № 16 3/III—1940 წ.)

640

საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახკომატის ცენტრ. ბუღალტერიის გამგე ვოსკრესენსკი.

ექიმი
მძინარიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა) ვენერიული და კანის ავადმყოფობა.
ავადმყოფების მიღება დილით და საღამოთი, 8-დან 10 საათამდე. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 20, ბინა № 57. მე-4 შესავალი, მე-2 სართული. 6964

მშობლები საშა (სერაფიონ), მანია, შვილი ვენერა დუნდუები იუწყებიან
ნორიკოს
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23/IX 8 ს. გამოსვენება 24/IX 6 ს. სანაპიროს ქ. 2. 8001

მეუღლე კონსტანტინე, შვილები მარო, დიომიდე, ოლია, დემნა, რძალი ნინო იუწყებიან
სარა კოსტავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22/IX ქ. მახარაძეში. 8003

ქმარი კოტე, დედამთილი ელენე, მამამთილი ილია, მაზლები შალვა, შოთა, რძლები თამარ, ქეთო, სიძეები ვასო, კაკო, მულები მარო, თამარ, სიდედრი რახიელ, მამინაცვალი ამბროსი იუწყებიან, რომ 22/IX 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნული
თამარ ლევანის-ასულ ჭადაგიშვილის
სამოქ. პანაშვიდი. 8011

მშობლები ნინუცა და ისიდორე, და ქეთო, ძმები იაკობ და ვალიკო, რძალი ლუდა იუწყებიან
ლუბა ისიდორეს-ასულ მახარაძის
გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი 22/IX საღ. 7 ს., გამოსვენება ბინიდან წულუკიძის, 4, სადგურზე 23/IX, დილის 6 ს. დასაფლავება 26 სექტემბერს სოფ. ზომლეთში (ჩოხატაურის რ.).

გიორგი, ტროფიმე, ნინო, ეპრაქსი, ელენე, თამარ ხუნდაძეები შვილებით იუწყებიან
მარიამ მიხეილის-ასულ ულენტი-დევიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 22/IX 2 ს. კეცხოველის 12. 8005

სიძე გაბო ქევხიშვილი ცოლით ანეტათი იუწყება
სიმონ ვახტანგის-ძე დავიდოვის
გარდაცვალებას. გამოსვენება 22/IX 4 ს. პლეხანოვის პროსპექტი № 54. 8007

შვილი შალიკო, რძალი ოლია, შვილიშვილი მედეა ჩხენკელები იუწყებიან
ქრისტინე ტარიელის-ასულ ჩხენკელის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22/IX ქ. წულუკიძეში. 7999

ძმა კოწია, რძალი სონია, შვილებით გრიშათი, შოთათი, შურათი, მარუსიათი, ოლიათი ქმრით არმენაკით, რძალი როზა იუწყებიან
ნიკო ლაზარეს-ძე სურგულაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22/IX შემოქმედში. 7997

ილია ჭავჭავაძის სახ. № 3 საშუალო სკოლის მე-9 კლასების მოსწავლეები და ხელმძღვანელი ქეთო ხარაძე იუწყებიან ამავე კლასის მოსწავლის
ნორა დუნდუას
გარდაცვალებას. 8008

უახლოესი მეგობრები სიმონ ჯაფარიძე, სერგო გელაშვილი, ისიდორე დოლიძე, თენგიზ მეზურნიშვილი და გოგი მაჭავარიანი იუწყებიან ვარლამ ლიპარტელიანის შვილის პატარა
ბიჭოს
გარდაცვალებას.

ბიძა თედო, ბიცოლა კატუშა დუნდუები შვილებით ჟორათი, მიშიკოთი იუწყებიან
ნორა დუნდუას
გარდაცვალებას. გამოსვენება 24/IX 6 ს. სანაპიროს, 2. 8012

ტატიანა სანიკიძე-ჩხეიძე ქმარშვილით იუწყება ბიძაშვილის
თამარ ივანეს-ასულ ხუნდაძის
გარდაცვალებას. 8006

მშობლები სერგო, თამარ, ბებია სასია, და მერიკო, ძმა ჯუნიკო იუწყებიან
ნოდარ სილაგაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22/IX 6 ს. გამოსვენება 24/IX 6 ს. ბელინსკის, 59. 7989

თბილისის რკ. გზის № 2 სკოლის პედ-კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ამავე სკოლის მასწავლებლებს იულია მესხს და ნინუცა გეგელაშვილს მათი დედის
კალისტინე მესხის
გარდაცვალების გამო. 7990

სახუნტის ქიმიის ფაკ-ტის მე-4 კურსის სტუდენტები იუწყებიან ამავე კურსის სტუდენტ თამარის მამის
ვასილ ზურაბის-ძე როსტომაშვილის
გარდაცვალებას. 7991

და მარიამ, სიძე გიორგი მაღნარაძეები შვილებით ელენორათი, ლეოთი, ნინოთი, სიძით ნესტორით, რძლით ლიდათი იუწყებიან
გიორგი ვასილის-ძე გამზარდიას
გარდაცვალებას. 7993

შვილი ნელი, მშობლები პავლე, ქეთევან, სიძე გერმანე ჭოხონელიძე ცოლშვილით, ჰეჰიკო ჭელიძე ოჯახით იუწყებიან
ცაცა გოცირიძე-იმედაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22/IX ს. ბუგეულში (რაჭა). 7987

მარინა საყვარელიძე, მანანა ქავთარაძე და ეთერ ბაგრატიონი იუწყებიან დედის
მარუსია დევიძის
გარდაცვალებას. 7992

შვილები ხუტა, შურა, თამარ, მარგო, შალვა, გოგი იუწყებიან
გიორგი ვასილის-ძე გამზარდიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 22/IX 5 ს. პანასევიჩის, 31, კუკიის სასაფლაოზე. 7994

ტერზიევი, სვანიძე, ბერუჩევი, კეჭაღმაძე, ხუხუნაიშვილი, ურუშაძე, ხოსროევა, ჩივაძე, ოგანეზოვი, არაქელოვი, ჯანშიევი, ვართანოვი, სარქისოვი იუწყებიან მიხეილ კვარაცხელიას დედის
ნატალია კვარაცხელიას
გარდაცვალებას. 7995

და ოლია, სიძე სამსონ ლეჟავა იუწყებიან
გალინე სპირიდონის-ასულ კაკაბაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა წულუკიძეში 22/IX. 7998

კიროვის სახ. საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის ასპირანტები ბაგრატიშვილი, რაზმაძე, აბულაძე, კარამურზა, ეორუოლიანი, ვარაზაშვილი, კარტოზია, ნაციაშვილი, ბერიშვილი, მეტონიძე იუწყებიან ასპირანტ დათიკო გაფრინდაშვილის ძმის
მიშას
გარდაცვალებას. 50

საშა, ათანასე, ვალიკო, სოსო ხარაძეები, მარუსია, ევგენი დევიძეები, ცუცუნია, სოლომონ ლორთქიფანიძეები, თამარ, კოლია დევიძეები იუწყებიან
მარიამ ულენტი-დევიძის
გარდაცვალებას. 9013

ზოოპარკის თანამშრომლები ე. ჭელიძე, მეზუკე, ზამბახიძე, ენუქიძე, სუხიაშვილი, კუკულაძე, ჩიკვაიძე, საყვარელიძე, ობელაშვილი იუწყებიან
შალვა ბოლქვაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 22/IX 5 ს. ჩოდრიშვილის 93. 7965

გორის რკინიგზის საშ. სკოლის პედკოლექტივი იუწყება ამავე სკოლის მასწავლებლის
ალექსანდრა (შურა) ნიკოლაიშვილის
გარდაცვალებას. 7976

მე-18 სკოლის IV¹ კლასის მოსწავლეები, მათი მშობლები და მასწავლებლები იუწყებიან, რომ 22/IX 1 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია ამავე კლასის მოსწავლის
რუსიკო მეგრელაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 7982

შვილი ვალია, სიძე კლიმენტი გოგიავა, შვილიშვილები ზურაბ, ლილი და სუზა იუწყებიან
ვასილ (სიკო) როსტომაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 22/IX 5 ს. ბოჭორიშვილის, 47. 7983

ლიქიორის ქარხნის ბუღალტერიის თანამშრომლები ალექსანდრე ხელიძე, ივლიანე კეკელაძე, ნინო ზარზუაშვილი, მარო ვარამაშვილი, ალექსი გურასპიშვილი იუწყებიან ამავე ქარხნის ეკონომისტ სონია ულენტის დის
მარო ულენტი-დევიძის
გარდაცვალებას. 7986

თბილისის რაიპროკურატურის თანამშრომლები რეხვიაშვილი, ბურკაძე, სიმონიშვილი, მამუჩაიშვილი, მესტვირიშვილი, კოხრეიძე, გურგენიძე, მჭედლიშვილი, სულაძე იუწყებიან ვალიკო ლიპარტელიანის შვილის
პატარა ბიჭოს
გარდაცვალებას. 7988

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და გახათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 113